ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1931 წლის აპრილის 30.	№ 8 განყოფილება პირველი	ა/კსფსრ სახალ. კომისართა საბჭოს საკმეთა მმართველობის მიერ გამოცემული.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

მუხ. 90. ადგილობრივი ფინანსების დებულების შეცვლის შესახებ.
„ 91. სადამოს სასწავლებლების მოსწავლეთა სამეშაო დღის შემცირების თაობაზე ა/კსფსრ-ში მომქმედი ყველა დადგენილების გაუქმების შესახებ.
„ 92. ლომბარდების დაარსების შესახებ.
„ 93. საძოვრების სარგებლობისათვის საიჯარო განაკვეთების დაწესების შესახებ.

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

„ 94. სამარგარინო ქარხნისათვის, რომელიც ნავთლუღის სადგურთან შენდება, ამხანაგი ვანო სტურუას სახელის დარქმევის შესახებ.
„ 95. ორთქლმავალი გემი „პაველ"-ისათვის ამხანაგი ვანო სტურუას სახელის დარქმევის შესახებ.
„ 96. ტრანსპორტის ორგანოების კუთვნილი სადგომების ტრანსპორტისათვის უცხო პირთაგან განთავისუფლების შესახებ.
„ 97. სარაიონო საბჭოთა კადრების მომზადების შესახებ.
„ 98. ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მოხსენების გამო—ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან სასაძოვრო-საიალაღო საკითხის თაობაზე მოწყობილი თათბირის შედეგის შესახებ.
„ 99. ამიერკავკასიის საიალაღო კომიტეტის შესახებ.
„ 100. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შერეული საიალაღო კომიტეტების შესახებ.
„ 101. მუშათა და გლეხთა წითელ არმიაში გაწვეულ სამხედრო მსახურთა ოჯახების უზრუნველყოფის ნორმების შესახებ.
„ 102. საქართველოს სსრ-ში ყარაიას რაიონის მოწყობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

„ 103. ა/კსფსრ-ში ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების შესახებ.
„ 104. ბამბისათვის დანიშნული, ხოლო სხვა კულტურით დათესილი მიწების გადახვნაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ.
„ 105. სსრკ-ის მთავრობის მიერ დაკრედიტების სისტემის შეცვლისა და სამეურნეო ანგარიშის განმტკიცების თაობაზე გამოტანილი გადაწყვეტილების განნორციელების შესახებ.
„ 106. სპეციალისტების გარდაგზავნის შესახებ.
„ 107. ა/კსფსრ-ში ხრალეული კულტურების ზენეითარების შესახებ.
„ 108. სასოფლო სამეურნეო გადასახადისაგან ჩაის ნათესების განთავისუფლების შესახებ.
„ 109. „1931 წელს შავი და ფერადი ნატეხი ლითონის დამზადების თაობაზე“ გამოცემული შრომისა და თავდაცვის საბჭოს 102 №-ის დადგენილების განნორციელების წესის შესახებ.
„ 110. სამეურნეო ბრუნვაში მონაწილე საწარმოთა, ორგანიზაციათა და პირთა სახელმწიფო რეგისტრაციის დებულებასთან დაკავშირებით ა/კსფსრ კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების შესახებ.
„ 111. მოსახლეობის ზოგიერთი კატეგორიისათვის გასაცემი მდგმოიარე და ნამზადი ტყის გადიდებული შეფასების შესახებ.
„ 112. სვვანის ტბის წყალთა გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი და გადამწყვეტი ამიერკავკასიის კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.
„ 113. შავი და ფერადი ნატეხი ლითონის აღმნუსხველი და მრეალიზებელი ამიერკავკასიის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.
„ 114. 1931 წელს სატელეგრაფო და სატელეფონო ხარჯების შემცირების შესახებ.

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

„ 115. ოთხფეხი საქონლის დამზადების თაობაზე გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. დეკემბრის 20-ისა და 1931 წ. იანვრის 2-ის დადგენილებების აღსრულების მსვლელობის შესახებ.
„ 116. ტყის წყლით ჩამოტივტივების შესახებ.
„ 117. ა/კსფსრ-ში აბრეშუმის ჭიის თესლისა და პარკის კაპიანიის და თუთის გაშენების საწარმოო გეგმის აღსრულების მსვლელობის შესახებ.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

90. ადგილობრივი ფინანსების დებულების შეცვლის შესახებ.

„ადგილობრივი ორგანოების საგეგმო კომისიების დაფინანსების წესის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. იანვრის 31-ის დადგენილების თანახმად (სსრკ კან. კრ. 1931 წ. მე-10 №-ი, მუხ. 112) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ა/კსფსრ-ის კანონმდებლობაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1) ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების მე-11 მუხლის „ბ“ პუნქტი (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-8 №-ი, მუხ. 697) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

(„11. ადგილობრივ საბჭოთა დაწესებულებების შესანახად ადგილობრივ სახსარისათვის დაკისრებულ ხარჯებს ეკუთვნის:.....)

„ბ) სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და აგრეთვე სასოფლო საბჭოებისა, საქალაქო საბჭოებისა და მათი პრეზიდიუმების შესანახი ხარჯი“.

2) მე-11 მუხლს დაემატოს მე-7 შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„**შენიშვნა 7.** სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების საგეგმო კომისიების შესანახი ხარჯი ეკისრება ა/კსფსრ სახელმწიფო ბიუჯეტს“.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ა. დოგადოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1931 წ. აპრილის 29.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 128 №-ში 1931 წ. მაისის 12-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

91. საღამოს სასწავლებლების მოსწავლეთა სამუშაო დღის შემცირების თაობაზე ა/კსფსრ-ში მომქმედი ყველა დადგენილების გაუქმების შესახებ.

„ადგილობრივი პარტიული და სხვა ორგანიზაციების მიერ მიმდინარე კამპანიების საპიროებისათვის დაზგის მუშათა მობილიზაციის სრულიად მოსპობის შესახებ“ გამოცემულ სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებასთან დაკავშირებით (გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ს 84 №-ი 1931 წ. მარტის 27-სა) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. გაუქმებულ იქნეს საღამოს სასწავლებლების მოსწავლეთა სამუშაო დღის შემცირების თაობაზე ა/კსფსრ-ში მომქმედი ყველა დადგენილება და მათ შორის

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგრეთვე ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ივნისის 3-ის დადგენილება „სსრკ-ის შრომის სახალხო კომისარიატის 1930 წ. აპრილის 14-ის თარიღისა და 155 №-ის დადგენილებით გათვალისწინებული შეღავათების ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კოოპერატიული საწარმოს და დაწესებულების მუშა-მოსამსახურეებზე გავრცელების შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-11 №-ი, მუხ. 123).

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ, ერთი დეკადის ვადაზე დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა, გამოაქვეყნონ ნუსხა იმ თავიანთი დადგენილებებისა, რომელთაც დაჰკარგეს ძალა ამა დადგენილების გამოქვეყნების გამო.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ა. დოგადოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1931 წ. აპრილის 29.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 130 №-ში 1931 წ. მაისის 14-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

92. ლომბარდების დაარსების შესახებ.

რათა ქალაქის გაჭირვებულ მოსახლეობას შესაძლებლობა მიეცეს ისარგებლოს ხელმისაწვდომი სამომხმარებლო კრედიტი, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო დადგენენ:

1. უფლება მიეცეს საქალაქო საბჭოებს გახსნან სათანადო განყოფილებებთან ლომბარდები ფასიან ნივთებში სესხის გასაცემად, ვალუტისა, საპროცენტო და ფასიანი ქაღალდების გარდა.

2. უფლება მიეცეს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს დაამტკიცოს ლომბარდის ნორმალური წესდება.

3. ლომბარდის წესდებებს, რაც შედგენილ უნდა იქნეს ნორმალური წესდების სრული შესაბამისობით, დაამტკიცებენ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატები.

4. ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატები, თავიანთი სათა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიტიკური მუშაობა მეაბრეშუმეთა შორის და ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანური მომარაგების სახალხო კომისარიატები და საკოლმეურნეო-კოოპერატიული ცენტრები სათანადოდ არ აფასებენ მეაბრეშუმეობის ნნიშვნელობას და ყოველივე ეს საფრთხეში აგდებს მეაბრეშუმეობის გეგმის შესრულების საქმეს.

ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანური კოოპერატიული ცენტრების მოუქნელობის მიზეზით და იმის გამო, რომ ისინი ბიუროკრატიულად მოეკიდნენ „საანეულო ნათესების კონტრაქტაციის შესახებ“ გამოცემულ სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების აღსრულებას,—აბრეშუმის ჭიის თესლისა და პარკის კამპანია აღმოჩნდა სრულიად მოუმზადებელი; აბრეშუმის ჭიის თესლის რეალიზაციისა და პარკის კონტრაქტაციის გეგმები, განსაკუთრებით თუთის ხის ხრალისა, მიწვდენილი არ არის სოფლამდე და კოლმეურნეობამდე. ხოლო თვით პარკის კონტრაქტაცია, რაც დიდის დაგვიანებით იქნა დაწყებული—მხოლოდ მარტის 25-ს, საფრთხეშია და შეიძლება ჩაიშალოს. აპრილის 10-თვის პარკის კონტრაქტაცია შესრულებულია 51,4%-ით, მაშინ, როდესაც, სსრკ-ის მომარაგების სახალხო კომისარიატის დადგენილების თანახმად, პარკის კონტრაქტაცია დამთავრებული უნდა ყოფილიყო სრულად მარტის 1-ლს.

აღსრულების შემმოწმებელი კომისია აღნიშნავს, რომ პარტიისა და მთავრობის დირექტივა—კულაკურ და შეძლებულ საბრეშუმო მეურნეობებისათვის მტკიცე დავალებათა ბრძანების ჩაბარების შესახებ—შეუსრულებელი დასტოვეს „ზაკსადოოგოროდსოიუზ“-ისა და „ზაკხლებკოვეოიუზ“-ის დამაკონტრაქტებელმა ორგანიზაციებმა.

აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. დაევალოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალო კომისარიატსა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს:

ა) ერთი დეკადის ვადაზე შეიმუშაონ და წარუდგინონ დასამტკიცებლად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს პროექტი დადგენილებისა—თუთის ნარგავთა განადგურების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ;

ბ) ერთი თვის ვადაზე შეიმუშაონ, ა/კ. მეაბრეშუმეობის ინსტიტუტის მასალების საფუძველზე, დიდი სასაბჭოო-საკოლმეურნეო მეურნეობის ფორმა მეურნეობის სხვა დამხმარე დარგების კომბინირებით (მეცხოველეობისა—შემოდგომის ფოთლების დასილოსებასთან დაკავშირებით, თუთის ბოჭკოს წარმოება თუთის ხის ხრალიდან, ქაღალდის წარმოება ხის ტოტებიდან, აბრეშუმის ჭიის თესლის წარმოება, სანერგეები, კადრების მომზადება და სხვ.);

გ) ფართოდ გაშალონ მეაბრეშუმეობის რაიონებში ახსნა-განმარტებითი მუშაობა ღარიბ და საშუალო საბრეშუმო მეურნეობათა კოლექტიურ მეურნეობებში ჩაბმისათვის;

დ) ერთი თვის ვადაზე მოაწყონ, ამიერკავკასიის მეაბრეშუმეობის ინსტიტუტის მონაწილეობით, მუშაობა აგრონომებისა და მეაბრეშუმეობის დარგში მომუშავე პირების არადასასწრები გარდაკვალიფიცირებისათვის ადგილობრივ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. გადამხდელთა კატეგორიების მიხედვით საიჯარო ქირა გამოანგარიშებულ იქნეს შემდეგნაირად:

ა) კოლმეურნეთათვის—ძირითადი განაკვეთების 25%-ის მონაკლებით;

ბ) დასახლებულობათა ამხანაგობებისათვის — ძირითადი განაკვეთების 10%-ის მონაკლობით;

გ) ინდივიდუალურთათვის—სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დასაბეგრად დადგენილი დიფერენციაციის მიღებით:

1) ინდივიდუალური წესით დასაბეგრავ კულაკურ მეურნეობათათვის საიჯარო ქირა გამოანგარიშებულ იქნეს ერთი-სამად;

2) შეძლებულ მეურნეობათათვის (რომელთა შემოსავალიც 500 მან. აღემატება და რომელნიც იბეგრებიან საერთო წესისამებრ პროცენტული ზედნართითურთ) საიჯარო ქირა გამოანგარიშებულ იქნეს ერთი-ორად;

3) საშუალო მეურნეობათათვის საიჯარო ქირა გამოანგარიშებულ იქნეს ძირითადი განაკვეთების მიხედვით;

4) ღარიბ მეურნეობათათვის საიჯარო ქირა გამოანგარიშებულ იქნეს ძირითადი განაკვეთების 10%-ის მონაკლებით.

4. ინდივიდუალურ მეურნეობათათვის საიჯარო ქირის გამოანგარიშების დროს მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს მეურნეობის საერთო ძალოვნება, საგლეხო მეურნეობათა ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრის ცნობების თანახმად.

5. საიჯარო ქირის ეს განაკვეთები დაწესებულია როგორც ადგილობრივი, ისე სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საძოვრებისათვის და სამომქმედოდ შემოიღება 1931 წლის საგაზაფხულო სეზონიდან.

6. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. აპრილის 30-ის დადგენილება „საზამთრო და საზაფხულო საძოვრების სარგებლობისათვის საიჯარო სასყიდლის დაწესების შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. მე-11 №-ი, მუხ. 118) გაუქმებულ იქნეს.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ი. დოგადოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1931 წ. აპრილის 30.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 125 №-ში 1931 წ. მაისის 9-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

94. სამარგარინო ქარხნისთვის, რომელიც ნავთლულის სადგურთან შენდება, ამხანაგი ვანო სტურუას სახელის დარქმევის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

სამარგარინო ქარხანას, რომელიც ნავთლულის სადგურთან შენდება, დაერქვას ამხანაგი ვანო სტურუას სახელი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1931 წ. აპრილის 17.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 106 №-ში 1931 წ. აპრილის 18-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

95. ორთქლმავალ გემი „პაველ"-ისათვის ამხანაგი ვანო სტურუას სახელის დარქმევის შესახებ.

იღებს-რა მხედველობაში დოკი „პარიზის კომუნა"-ს მუშათა შუამდგომლობას ორთქლმავალი გემის „პაველ"-ის ამხანაგი ვანო სტურუას სახელობის გემად გადარქმევის შესახებ, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ორთქლმავალ გემს „პაველ"-ს დაერქვას ამხანაგი ვანო სტურუას სახელი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1931 წ. აპრილის 17.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

96. ტრანსპორტის ორგანოების კუთვნილი სადგომების ტრანსპორტისათვის უცხო პირთაგან განთავისუფლების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის რკინის გზების დირექციას—დაუყოვნებლივ შეუდგეს ტრანსპორტის კუთვნილი სადგომებიდან ტრანსპორტისათვის უცხო პირთა გამოსახლების ღონისძიებათა განხორციელებას იმ წესით, რაც აღნიშნულია სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. თებერვლის 13-ს დადგენილებაში „ტრანსპორტის ორგანოების კუთვნილი სადგომებიდან ტრანსპორტისათვის უცხო პირთა გამოსახლებისა და ტრანსპორტის მომუშავეთა გადასახლების შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1931 წ. მე-10 №-ი, მუხ. 11).

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული გამოსახლება პირველ რიგში განხორციელებულ უნდა იქნეს იმ პირთა მიმართ, ვინც არამშრომელთა ელემენტებს ეკუთვნის, და აგრეთვე იმ პირთა მიმართ, ვისაც გარკვეული მოსაქმეობა არ აქვს.

3. ტრანსპორტის კუთვნილი ყველა სადგომის განთავისუფლება უცხო პირთაგან დამთავრებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს 1931 წ. ივნისის 1-სა.

4. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—დაავალონ ადგილობრივ საბჭოებს, რათა მათ, სარკინისგზო ტრანსპორტის სათანადო ორგანოებთან ერთად, სასწრაფოდ გამოარკვიონ სიჭირო საცხოვრებელი ფართობი, რაც უნდა მიეცეს ტრანსპორტის სადგომებიდან გამოსასახლებელ პირთ.

ეს საცხოვრებელი ფართობი, უწყებულ ადგილას მიღებული ნორმების მიხედვით, მიეცემა გამოსასახლებელ მუშებსა, მოსამსახურეებსა და მოსამსახურეთა სხვა კატეგორიებს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილი ნუსხის თანახმად, და სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილების მე-4 მუხლის შესაბამისად.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1931 წ. აპრილის 18.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 109 №-ში 1931 წ. აპრილის 21-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამერიკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

97. სარაიონო საბჭოთა კადრების მომზადების შესახებ.

ამერიკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

I. რათა სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები უზრუნველყოფილ იქნენ მათი მოქმედების ყველა დარგში საკმარისად მომზადებული მომუშავეებით, წინადადება მიეცეს ა/კავშირ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს —განახორციელონ შემდეგი ღონისძიებანი:

1. მოაწყონ კურსები ქვემოაღნიშნული სარაიონო მომუშავეების მომზადებასა და გარდამზადებისათვის.

2. აღნიშნული კურსების ვადები და კონტინგენტი განისაზღვროს:

ა) სარაიონო საადგილმამულო განყოფილებათა გამგეებისათვის—ორთვიანი კურსები—1931 წ. მაისის 20-დან ივლისის 20-დე, შემდეგი კონტინგენტით: აზერბაიჯანის სსრ-ში—50 კაცი, საქართველოს სსრ-ში—40 კაცი და სომხეთის სსრ-ში—20 კაცი;

ბ) სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდუმების იმ წევრებისათვის, რომელნიც ხელმძღვანელობას უწევენ სოციალურ-კულტურულ მუშაობას—თვენახევრიანი კურსები— 1931 წ. მაისის 15-დან ივლისის 1-დე, შემდეგი კონტინგენტით: აზერბაიჯანის სსრ-ში—110 კაცი, საქართველოს სსრ-ში—80 კაცი და სომხეთის სსრ-ში—40 კაცი;

გ) საადმინისტრაციო განყოფილებათა გამგეებისათვის — თვენახევრიანი კურსები—1931 წ. ივნისის 1-დან ივლისის 15-დე, შემდეგი კონტინგენტით: აზერბაიჯანის სსრ-ში—50 კაცი, საქართველოს სსრ-ში—30 კაცი და სომხეთის სსრ-ში—20 კაცი;

დ) სარაიონთ აღმასრულებელი კომიტეტების მდივნებისა და ინსტრუქტორებისათვის—თვენახევრიანი კურსები—1931 წ. ივლისის 15-დან სექტემბრის 1-დე, შემდეგი კონტინგენტით: აზერბაიჯანის სსრ-ში—55 კაცი, საქართველოს სსრ-ში—40 კაცი და სასომხეთის სსრ ში—20 კაცი;

ე) ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების კომიტეტების პასუხისმგებელი მდივნებისათვის—თვიური კურსები 1931 წ. მაისის 1-დან ივნისის 1-დე, შემდეგი კონტინგენტით: აზერბაიჯანის სსრ-ში—40 კაცი, საქართველოს სსრ-ში—40 კაცი და სომხეთის სსრ-ში—25 კაცი;

ვ) სარაიონო საგეგმო მომუშავეებისათვის—ორთვიანი კურსები—1931 წ. მაისის 1-დან ივლისის 1-დე, შემდეგი კონტინგენტით: აზერბაიჯანის სსრ-ში—60 კაცი, საქართველოს სსრ-ში—50 კაცი და სომხეთის სსრ-ში—26 კაცი;

ზ) ვაჭრობისა და მომარაგების ინსპექტორებისათვის—ორთვიანი კურსები —1931 წ. მაისის 1 დან ივლისის 1-დე, შემდეგი კონტინგენტით: აზერბაიჯანის სსრ-ში—60 კაცი, საქართველოს სსრ-ში—50 კაცი და სომხეთის სსრ-ში—26 კაცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

97. სარაიონო საბჭოთა კადრების მომზადების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

I. რათა სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები უზრუნველყოფილ იქნენ მათი მოქმედების ყველა დარგში საკმარისად მომზადებული მომუშავეებით, წინადადება მიეცეს ა/კავშირ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს —განახორციელონ შემდეგი ღონისძიებანი:

1. მოაწყონ კურსები ქვემოაღნიშნული სარაიონო მომუშავეების მომზადებასა და გარდამზადებისათვის.

2. აღნიშნული კურსების ვადები და კონტინგენტი განისაზღვროს:

ა) სარაიონო საადგილმამულო განყოფილებათა გამგეებისათვის—ორთვიანი კურსები—1931 წ. მაისის 20-დან ივლისის 20-დე, შემდეგი კონტინგენტით: აზერბაიჯანის სსრ-ში—50 კაცი, საქართველოს სსრ-ში—40 კაცი და სომხეთის სსრ-ში—20 კაცი;

ბ) სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდუმების იმ წევრებისათვის, რომელნიც ხელმძღვანელობას უწევენ სოციალურ-კულტურულ მუშაობას—თვენახევრიანი კურსები— 1931 წ. მაისის 15-დან ივლისის 1-დე, შემდეგი კონტინგენტით: აზერბაიჯანის სსრ-ში—110 კაცი, საქართველოს სსრ-ში—80 კაცი და სომხეთის სსრ-ში—40 კაცი;

გ) საადმინისტრაციო განყოფილებათა გამგეებისათვის — თვენახევრიანი კურსები—1931 წ. ივნისის 1-დან ივლისის 15-დე, შემდეგი კონტინგენტით: აზერბაიჯანის სსრ-ში—50 კაცი, საქართველოს სსრ-ში—30 კაცი და სომხეთის სსრ-ში—20 კაცი;

დ) სარაიონთ აღმასრულებელი კომიტეტების მდივნებისა და ინსტრუქტორებისათვის—თვენახევრიანი კურსები—1931 წ. ივლისის 15-დან სექტემბრის 1-დე, შემდეგი კონტინგენტით: აზერბაიჯანის სსრ-ში—55 კაცი, საქართველოს სსრ-ში—40 კაცი და სასომხეთის სსრ ში—20 კაცი;

ე) ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების კომიტეტების პასუხისმგებელი მდივნებისათვის—თვიური კურსები 1931 წ. მაისის 1-დან ივნისის 1-დე, შემდეგი კონტინგენტით: აზერბაიჯანის სსრ-ში—40 კაცი, საქართველოს სსრ-ში—40 კაცი და სომხეთის სსრ-ში—25 კაცი;

ვ) სარაიონო საგეგმო მომუშავეებისათვის—ორთვიანი კურსები—1931 წ. მაისის 1-დან ივლისის 1-დე, შემდეგი კონტინგენტით: აზერბაიჯანის სსრ-ში—60 კაცი, საქართველოს სსრ-ში—50 კაცი და სომხეთის სსრ-ში—26 კაცი;

ზ) ვაჭრობისა და მომარაგების ინსპექტორებისათვის—ორთვიანი კურსები—1931 წ. მაისის 1 დან ივლისის 1-დე, შემდეგი კონტინგენტით: აზერბაიჯანის სსრ-ში—60 კაცი, საქართველოს სსრ-ში—50 კაცი და სომხეთის სსრ-ში—26 კაცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. კურსებისათვის ოპერატიული ხელმძღვანელობის გაწევა დაეკისროს სათანადო უწყებებს, ხოლო საერთო ხელმძღვანელობა, კონტროლი და მეთვალყურეობა დაეტოვოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, პერსონალური პასუხისმგებლობით: აზერბაიჯანის სსრ-ში — აზერბაიჯანის სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის ამხ. ნ. იბრაჰიმოვის და საორგანიზაციო განყოფილების გამგის ამხ. გ. ახუნდოვისა, საქართველოს სსრ-ში—საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის ამხ. ს. თოდრიას და საორგანიზაციო განყოფილების გამგის ამხ. ა. ანთაძისა და სომხეთის სსრ-ში სომხეთის სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის ამხ. რ. დაშტოიანის და საორგანიზაციო განყოფილების გამგის ამხ. ოსეფიანისა.

4. პერსონალური პასუხისმგებლობა და კონტროლი სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის საადგილმამულო განყოფილებათა გამგეების მოსამზადებლად და გარდასამზადებლად საჭირო მუშაობისათვის დაეკისროს ამხ. მამალაძეს, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდუმების იმ წევრებისა, რომელნიც ხელმძღვანელობას უწევენ სოციალურ-კულტურულ მუშაობას, საადმინისტრაციო განყოფილებათა გამგეებისა, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების მდივნებისა და ინსტრუქტორებისა—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანს ამხ. გ. სულთანოვს და საორგანიზაციო განყოფილების გამგეს, ქალთა შორისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების კომიტეტების პასუხისმგებელი მდივნებისა—ამხ. ხეჩუნიანს, სარაიონო საგეგმო მომუშავეებისა—ამხ. გრიგორიანს და ვაჭრობისა და მომარაგებისა ინსპექტორებისა —ამხ. ასათიანს.

5. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—უზრუნველჰყონ კურსები სათანადო რესპუბლიკების საერთო სახელმწიფოებრივი ბიუჯეტიდან.

6. სარაიონო საბჭოთა კადრების მომზადებისა და გარდამზადების შესახები დადგენილების შესურულებლობისათვის ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგე ამხ. ი. ტალახაძე მოხსნილ იქნეს სამუშაოდან.

II. საერთო ხელმძღვანელობისა და კურსების ორგანიზაციასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტილებათა ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდუმთან მოეწყოს განსაკუთრებული კომისია ამხანაგთა გ. სულთანოვისა, გ. მგალობლიშვილისა და ი. პეეცოვის შედგენილობით.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1931 წ. აპრილის 21.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 110 №-ში 1931 წ. აპრილის 22-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

98. ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მოხსენების გამო—ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან სასაძოვრო-საიალაღო საკითხის თაობაზე მოწყობილი თათბირის შედეგის შესახებ.

მოისმინა-რა ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მოხსენება სასაძოვრო-საიალაღო საკითხის თაობაზე მოწყობილი თათბირის შედეგების შესახებ, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აღნიშნავს, რომ აქამდე სასაძოვრო მეურნეობა უადრესად მოუწესრიგებელია და მოგვარებული არ არის მესაქონლეების მომთაბარეობის წესი, რაც გამოიხატება შემდეგში:

ა) არა სჩანს კლასობრივი მიდგომა საძოვრების განაწილების საქმეში და აგრეთვე საძოვრების სარგებლობისათვის საიჯარო ქირის განსაზღვრის საქმეში;

ბ) თავის დროზე წინასწარ განაწილებული არ არის საძოვრები და არა სწარმოებს მუშაობა საძოვრების გაუმჯობესებისათვის;

გ) არადამკმაყოფილებელ მდგომარეობაშია საქონლის გადასარეკი გზები და საკმარისი არ არის საქონლის დასასვენებლად გასაჩერებელი და ძოვების ადგილები;

დ) თავის დროზე არ იქნა მოწყობილი საიალაღო კომიტეტები, რომლებიც სუსტად მუშაობენ და რომლებსაც ხელმძღვანელობა საკმარისად არ ეწევა;

ე). საკმარისი საველტერინარო და აგრო-ზოოტეხნიკური დახმარება და სამედიკო-სასანიტარო მომსახურეობა არ ეწევა მომთაბარეთ;

ვ) სამომხმარებლო კოოპერაციას საკმარისად არ აქვს მოცული სასურსათო და სამრეწველო საგნებით მომარაგების საქმე; ხოლო სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას და საკოლმეურნეო სისტემას—სამესაქონლეო მეურნეობათა საწარმოო მომსახურეობასა და კოლექტივიზაციის საქმე;

ზ) საკმარისი ოდენობით არ აწარმოებენ მომთაბარეთა შორის კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას როგორც სახალხო განათლების ორგანოები, ისე საზოგადოებრივი ორგანიზაციები;

თ) სრულიად სუსტია მუშაობა სამომთაბარო ადგილებში ღარიბთა და მოჯამაგირეთა შორის, განსაკუთრებით-კი ქალთა შორის.

ყველა ეს ნაკლი, აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობისა და მესაქონლეების ურთიერთობის უაღრესი მოუწესრიგებლობა საძოვრების სარგებლობის სფეროში, რაც ხშირად მათ შორის სერიოზულ მიხლა-მოხლას იწვევს, ამ გარემოებას-კი კულაკები თავიანთი პოლიტიკური მიზნისათვის იყენებენ, ჰქმნის ხელსაყრელ ნიადაგს კულაკური ანტისაბჭოთა და ანტისაკოლმეურნეო აგიტაციისათვის და აძლიერებს კულაკთა გავლენას ღარიბ და საშუალო მესაქონლეთა მასსებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგანაც სამესაქონლეო მეურნეობათა წინამდგომარე გადასვლას ზამთრის საძოვრებიდან საზაფხულო საძოვრებზე უდიდესი სამეურნეო-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს და საჭიროა ისეთი პირობების შექმნა, რაც ხელს შეუწყობს ღარიბ და საშუალო მესაქონლეთა და მოჯამაგირეთა მასების კოლექტიური მეურნეობის ფორმებზე გადასვლას, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტატი ადგენს:

1. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიეტებმა, კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრებთან და მეცხოველოების კოოპერაციასთან ერთად, დაუყოვნებლივ უნდა გაანაწილონ საძოვრები და შეადგინონ საქონლის ორგანიზებულად გადარეკისა და ზაფხულის საძოვრებზე მოთავსების გეგმები. განაწილების დროს ანგარიშში მიღებულ უნდა იქნეს მეზობელი რესპუბლიკების საჭიროებანი—სათანადო სასაძოვრო მასსივების თავის დროზე მიჩენით.

საძოვრების განაწილების დროს პირველ რიგში უზრუნველყოფილ უნდა იქნენ საბჭოთა სამეცხოველეო მეურნეობანი, კოლექტიური მეურნეობანი და ღარიბ და საშუალო მეურნეობათა მასსები.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებმა ცალკეულ რაიონებში ფართო პრაქტიკად უნდა შემოიღონ საძოვრების იჯარით გაცემა მეცხოველეობის სარაიონო კავშირის მეშვეობით.

2. საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა, არა უგვიანეს 15 დღისა მომთაბარეობის დაწყებამდე, სასაძოვრო რაიონებში, სამესაქონლეო მეურნეობათა თავმოყრის ადგილას, მოწყობილ იქნეს საიალაღო კომიტეტები.

საიალაღო კომიტეტებმა წინასწარვე, მესაქონლეთა მისვლამდე, უნდა განამზადონ საქონლის განაწილება საძოვრებზე, დაიწესონ საქონლის დაცვა გზაში და იალაღებზე და მოაწყონ გზაში მესაქონლეების გაჩერების ადგილები.

საიალაღო კომიტეტებმა უნდა იმოქმედონ შეუწყვეტლივ, მოლად სასაძოვრო პერიოდის განმავლობაში და უნდა დაიშალნენ მხოლოდ მომთაბარე მესაქონლეთა წასვლის შემდეგ.

3. სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა, მომთაბარეობის დაწყებამდე, წინასწარვე უნდა შეამოწმონ საქონლის სარეკი გზების მდგომარეობა, გზაში გაჩერების და ძოვების ადგილები, აგრეთვე წყლის დალევინების ადგილები და იხმარონ ღონისძიება ამ ადგილებში ყოველგვარი არანორმალური გარეგების თავიდან ასაცილებლად.

სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა უნდა დაავალონ სასოფლო საბჭოებს, რათა მათ თავის დროზე მიუჩინონ მომთაბარეთ სასოფლო ხელისუფლების წარმომადგენელნი—მათთვის საადმინისტრაციო მომსახურეობის გასაწევად როგორც გზაში, ისე მომთაბარეობის ადგილას

4. საიალაღო კომიტეტებმა ფართოდ უნდა განავითარონ უმარტივეს ღონისძიებათა გამოყენება საძოვრებისა და საათბი ადგილების გასაუმჯობესებლად, როგორც არის: ქვების აკრეფა, სარეველა ბალახისა და მავნე მცენარეულების მოსპობა, ძირკვების ამოგდება და სხვა ამისთ.; ეს განხორციელებულ უნდა იქნეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ შემუშავებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასაძოვრო აგრომინიმუმის მიხედვით და ამ აგრომინიმუმის განხორციელება შეპირობებულ უნდა იქნეს საძოვრების სარგებლობისათვის დადებულ საიჯარო ხელშეკრულებებში.

5. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებმა უნდა შეადგინონ მესაქონლეებისათვის იალაღებზე აგრო-ზოტეხნიკური და სავეტერინარო დახმარების გაწევის გეგმა და განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მასსურ-საჩვენებელ ღონისძიებათა მოწყობის საქმეს; თანაც უნდა დაამყარონ კონტროლი, რათა სათანადო ორგანიზაციებმა შეასრულონ განზრახული ღონისძიებანი.

6. სამომმართველო კოოპერაციის ამიერკავკასიის კავშირმა უნდა მოაწყოს მესაქონლეთა მომარაგება ზაფხულის საძოვრებზე (მოძრავი დუქნები).

7. წინადადება მიეცეს „ზაკლებეფისოუზ"-ს — იხმაროს ღონისძიება სამესაქონლეო მეურნეობებისათვის საწარმოო ხასიათის მომსახურეობის გასაწევად: პროდუქციის კონტრაქტაცია და დამზადება, რძის გადამმუშავებელ საწარმოთა (ყველ-კარაქის მოძრავი ქარხნების) მოწყობა, საწარმოო ინვენტარით, ჯიშიანი საქონლით და სხვ. მომარაგება.

კოლექტიურ მეურნეობათა ამიერკავკასიის ცენტრმა უნდა მოაწყოს ხელმძღვანელობისა და საწარმოო მომსახურეობის გაწევა სამესაქონლეო კოლექტიურ მეურნეობებისათვის საზაფხულო საძოვრებზე.

8. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებმა უნდა მოაწყონ სამედიცინო რაზმები—თითო თვითეულ სასაძოვრო მასსივზე და უზრუნველჰყონ სამედიცინო პერსონალით და მედიკამენტებით.

9. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებმა და განათლების სახალხო კომისარიატებმა, ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების კომიტეტებთან ერთად, უნდა შეიმუშაონ ბავშვთა ბაგებისა, ბავშვთა ბაჭვებისა, ქალთა და ბავშვთა კონსულტაციებისა, ქალთა კარვებისა, წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტებისა და სხვ. მოწყობის და მომსახურეობის გაწევის გეგმა.

10. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისარიატებმა, პოლიტიკური განათლების მთავარი სამმართველოების მეშვეობით, უნდა მოაწყონ მომთაბარეთა შორის კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა, მაგალითად: წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტები, ბავშვთა ბაჭნები, რადიოდანადგამები, მოძრავი კინოები და სხვ.. შედგენილ უნდა იქნეს მომსახურეობის გაწევის კონკრეტული გეგმა და თვალყური ედევნოს ამ გეგმის განხორციელებას.

11. ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების კომიტეტებმა, რესპუბლიკების პროკურატურასთან ერთად, უნდა მოაწყონ წითელ კარვებთან საცნობო მაგიდები მომთაბარეთათვის იურიდიული დახმარების გასაწევად.

12. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ქალთა შრომისა და ყოფა ცხოვრების გაუმჯობესების კომიტეტებმა ფართოდ უნდა გაშალონ მომთაბარე ქალთაშორის მასსური მუშაობა, სისტემატიური მუშაობა უნდა აწარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოონ საბჭოების წევრ-ქალებს შორის, ვალდებულების წესით, მათი წერა-კითხვის უკოდინარობის ალიკვიდაციოდ, რისთვისაც უნდა მოაწყონ საუბრები, კითხვა სხვადასხვა საგნებზე, ჩაბაბ ქალთა მშრომელი მასსები საკოლმეურნეო მშენებლობაში, და მონაწილეობა მიაღებინონ გამტარებლების სახით ყველა კამპანიაში, კერძოდ—დამზადების კამპანიაში.

13. ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატმა, პროფესიონალურ ორგანიზაციებთან ერთად, უნდა შეიმუშაოს ღონისძიებანი მოჯამაგირეთათვის მომსახურეობისა და დახმარების გასაწევად შრომის დაცვისა, შრომის ხელშეკრულების დადებისა, კულტურული მუშაობისა და სხვა სფეროში.

14. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს—იხმარონ სასწრაფო ღონისძიებანი ამა დადგენილების განსახორციელებლად.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1931 წ. აპრილის 28.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა-“ს 118 №-ში 1931 წ. აპრილის 30-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

99. ამიერკავკასიის საიალაღო კომიტეტის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან მოეწყოს ამიერკავკასიის საიალაღო კომიტეტი.

2. ამიერკავკასიის საიალაღო კომიტეტი დაწესებულ იქნეს შემდეგი შედგენილობით: კომიტეტის თავმჯდომარე—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი; კომიტეტის წევრები: ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისრები და თითო წარმომადგენელი—ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციისა, მიწადმოქმედებისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატებისა, კოლექტიურ მეურნეობათა ამიერკავკასიის ცენტრისა და „ზაკხლებეივსოიუზ“-ისა. უწყებათა აღნიშნულ წარმომადგენელთ დაამტკიცებს პერსონალურად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

3. ამიერკავკასიის საიალაღო კომიტეტს დაეკისროს:

ა) საერთო მეთვალყურეობისა და ხელმძღვანელობის გაწევა რესპუბლიკანური საიალაღო კომიტეტებისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ინსტრუქციების გამოცემა მომთაბარეობასთან და საძოვრების სარგებლობასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ;

გ) საბოლოო გადაწყვეტა ყველა იმ სადავო საკითხისა, რაც რესპუბლიკანურ საიალაღო კომიტეტებში აღიძვრის;

დ) ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში მომთაბარეობისა და საძოვრების სარგებლობის საკითხების თაობაზე კანონდებულებათა პროექტების შეტანა.

4. ამიერკავკასიის საიალაღო კომიტეტი მოიწვევა საჭიროებისადამიხედვით, ხოლო არა ნაკლებ, ვიდრე ორჯერ მინც მომთაბარეობის პერიოდში.

კომიტეტის მოწვევა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი ერთ-ერთი რესპუბლიკის მოთხოვნით სავალდებულოა.

5. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება „საიალაღო კომიტეტების მოწყობის შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1931 წ. მე-4 №-ი, მუხ. 42) გაუქმებულ იქნეს.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1931 წ. აპრილის 28.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 118 №-ში 1931 წ. აპრილის 30-ს,

---

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

100. აკსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შერეული საიალაღო კომიტეტების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. სამომთაბარო და ნახევრად სამომთაბარო მესაქონლეობის მიმდევარი მოსახლეობის მიერ საზაფხულო საძოვრების სარგებლობასთან დაკავშირებული საკითხების მოსაწესრიგებლად და აგრეთვე საზაფხულო საძოვრებზე ყოფნის დროს ამ მოსახლეობისათვის მომსახურეობის გასაწევად—მოეწყოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში შერეული საიალაღო კომიტეტები.

2. საიალაღო კომიტეტები მოეწყობიან, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების დადგენილების თანახმად, იმ რაიონებში, რომელთა საძოვრებზედაც რეგულარულად მომთმბარეობს სამესაქონლეო მეურნეობათა თვალსაჩინო წასსა სხვა რაიონებიდან ან რესპუბლიკებიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. საიალაღო კომიტეტის შედგენილობაში შედიან:

ა) თავმჯდომარის სახით—იმ რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელი, სადაც საძოვრები მდებარეობს, ხოლო თავმჯდომარის მოადგილედ—იმ რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელი, საიდანაც მომთაბარენი არიან;

ბ) მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი—საძოვრების მდებარეობის ადგილის მიხედვით;

გ) ადგილობრივი სარაინო აღმასრულებელი კომიტეტისა და სარაინონ მეცხოველეობის კავშირის წარმომადგენელი;

დ) იმ რაიონის სარაინონ აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების კომიტეტის წარმომადგენელი, სადაც მდებარეობს საძოვრები და საიდანაც არიან მომთაბარენი;

ე) იმ რაიონების სარაინონ აღმასრულებელი კომიტეტებისა და სასოფლო საბჭოების წარმომადგენელნი, საიდანაც არიან მომთაბარენი.

საიალაღო კომიტეტის მდივანს აირჩევს ეს კომიტეტი თავისი შედგენილობიდან.

4. საიალაღო კომიტეტის გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა) მოაწესრიგოს საქონლის საზამთრო საძოვრიდან საზაფხულო საძოვარზე გადარეკა და უკან დაბრუნება;

ბ) მოაწყოს მომთაბარენი მიჩენილი საძოვრების ნაკვეთებზე, ისე რომ პირველ რიგში საუკეთესო და უფრო ხელსაყრელი საძოვრები მიეცეს კოლექტიურ მეურნეობებს, დასახლებულობათა ამხანაგობებს და მესაქონლეებს ღარიბ და საშუალო გლეხთაგან;

გ) თვალყური ადევნოს საძოვრების სათანადოდ (რაციონალურად) გამოყენებას, გადაჭარბებული დატვირთვისა და გაფუჭების აკრძალვით, და აგრეთვე იხმაროს კანონიერი ღონისძიება ქვე-მოიჯარეთა წინაღმდეგ, მომქმედ კანონდებულებათა თანახმად;

დ) თვალყური ადევნოს საიჯარო ქირის განაწილებას სასაძოვრო ნაკვეთის მონაწილეთა შორის და მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება კლასობრივი ხაზის სისწორით გატარებას მოსარგებლეთათვის სასაძოვრო ქირის დაკისრების საქმეში, არსებულ კანონდებულებათა თანახმად;

ე) წინასწარ აღკვეთოს და გადასწყვიტოს უთანხმოებანი ცალკეული სასაძოვრო ნაკვეთების მოსარგებლეთა შორის და აგრეთვე იხმაროს ღონისძიება როგორც მოსარგებლეთა, ისე უცხო პირთა მიერ ამ ნაკვეთების ხელში ჩაგდების თავიდან ასაცილებლად;

ვ) ხელი შეუწყოს საძოვრების ზედამხედველთ მესაქონლეთაგან საძოვრების საიჯარო ქირის გადახდევინების საქმეში;

ზ) ვინიცობაა დადგენილი საიჯარო ქირის რაოდენობა არა შეესაბამება სასაძოვრო ნაკვეთის ფართობს და ხასიათს,—გამოიკვლიოს ეს გარემოება მიწისმზომლის მონაწილეობით, თუ ეს საჭიროა, და შეკრეფილი მასალა, თავისი დასკვნითურთ, წარუდგინოს სათანადო მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს

ეროვნული ბიბლიოთეკა

განკარგულებისათვის, ხოლო არ-კი უნდა შეაჩეროს საიჯარო ქირის გადახდევინება;

თ) აღძრას თავის დროზე ხელისუფლების სათანადო ორგანოს და საზოგადოებრივი ორგანიზაციის წინაშე საკითხები, რაც დაკავშირებულია მომთაბარეთათვის კულტურულ-განმანათლებელი, სამეურნეო, საგზაო-სასაძოვრო, საეტერინარო-სამკურნალო, იურიდიული და სხვა ხასიათის მომსახურეობის გაწევასთან; აგრეთვე ხელი შეუწყოს ხელისუფლების ორგანოებს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელების საქმეში.

ამის გარდა, საიალაღო კომიტეტს დაეკისროს კონტროლისა და რეგულირების ფუნქცია კოოპერატივების მიერ მომთაბარეთა მომარაგების საკითხებში.

5. უკეთუ საიალაღო კომიტეტის წევრთა შორის აღიძვრის რაიმე შეუთანხმებლობა, სადავო საკითხი გადასაწყვეტად გადაიტანება ამიერკავკასიის საიალაღო კომიტეტში; ამასთანავე, ვინაიდან ეს შეუთანხმებლობა აღიძრა ისეთი საკითხის გამო, რომლის გადადებაც არ შეიძლება (მაგალითად: საქონლის მიზვებით საძოვრის წახდენა, ეპიდემიის გაჩენა და სხვ.), ასეთი შეუთანხმებლობის საკითხი დროებით, ვიდრე მას ამიერკავკასიის საიალაღო კომიტეტი საბოლოოდ გადასწყვეტდეს, გადაწყდება შერეული საიალაღო კომიტეტის თავმჯდომარის შეხედულებით.

6. ერთი თვით ადრე მომთაბარეობის დაწყებამდე, ამიერკავკასიის საიალაღო კომიტეტის განკარგულებით, მოიწვევა თათბირი ადგილობრივი სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების წარმომადგენელთაგან და იმ რაიონების სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და სამესაქონლეო ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან, საიდანაც მომთაბარენი მიდიან. ამ თათბირზე გამორკვეულ იქნება საქონლის სარეკი გზები, გაჩერების ადგილები, საეტერინარო პუნქტები და საქონლის გასინჯვის წესი, მომთაბარეობის დასაწყისი, საიალაღო კომიტეტების მოქმედების დაწყების დრო, საიალაღო კომიტეტების მიერ ხელისუფლების სათანადო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინაშე ამა დადგენილების მე-4 მუხლის „ა“ პუნქტში ჩამოთვლილი საკითხების აღძვრის წესი და ვადა და, ბოლოს, სხვა საკითხები, რაც მომთაბარეობის ორგანიზაციას და აღლაღებზე მომთაბარეთათვის მომსახურეობის გაწევას ეხება.

7. საიალაღო კომიტეტი ექვემდებარება იმ რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, რომლის ტერიტორიაზედაც საძოვრებია, და აგრეთვე ამიერკავკასიის საიალაღო კომიტეტს; თანაც იგი იხელმძღვანელებს მათვე დირექტივებსა და განკარგულებებს.

8. მომთაბარეთა წასაყოლად და დასაცავად და საიალაღო კომიტეტისათვის დახმარების გასაწევად, მისთვის დაკისრებული მოვალეობის განხორციელების საქმეში, სათანადო აღმასრულებელი კომიტეტები, ურთიერთთან შეთანხმებით, გაიყოფენ და დანიშნავენ საიალაღო კომიტეტის განკარგულებაში მილიციონერთა განსაკუთრებულ კომანდას ათიდან ხუთმეტ კაცამდე თვითეულ კომიტეტზე; ამასთანავე, მილიციონერთა ნახევარი რიცხვი უნდა იყოს მომთაბარეთა გამოსვლის რაიონიდან.

9. წინა მუხლში აღნიშნული სამილიციო რაზმები დისციპლინის მხრით იმყოფებიან იმ რაიონის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის გამგებლობასა და ზედამხედველობაში, სადაც საძოვრებია.

10. საიალაღო კომიტეტის წევრებისა და მათ განკარგულებაში დანიშნული მილიციონერების წარვლინებასთან დაკავშირებული ხარჯები დაეკისრება სათანადო აღმასრულებელ კომიტეტს; საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯები დაიფარება იმ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების სახსარით, რომელთა ტერიტორიაზედაც საძოვრებია.

ამა მუხლში აღნიშნულ ხარჯებს სათანადო აღმასრულებელი კომიტეტები შეიტანენ თავიანთ საერთო ხარჯთაღრიცხვებში და დახარჯავენ სახარჯთაღრიცხვო წესით.

11. არა უგვიანეს ყოველი თვის მე-5 რიცხვისა საიალაღო კომიტეტი თავისი მოქმედების წინა თვის დაწვრილებითს ანგარიშს წარუდგენს იმ ადგილის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, სადაც საძოვრებია და საიდანაც მომთაბარენი არიან. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი გასული სეზონის ჯუმლობითს ანგარიშგებას წარუდგენს ამიერკავკასიის საიალაღო კომიტეტს, ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

12. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ შეუთანხმონ თავიანთი კანონმდებლობა ამა დადგენილებას და აგრეთვე ამავე დადგენილების განსავითარებლად გამოსცენ დადგენილებანი, რომლებშიაც, კერძოდ, გაითვალისწინონ წანახედის თაობაზე აღძრული დავათა გადაწყვეტის გამარტივებული წესი.

13. გაუქმებულ იქნეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. თებერვლის 18-ის დადგენილება „საიალაღო კომიტეტების მოწყობის შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-4 №-ი, მუხ. 42).

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1931 წ. აპრილის 28.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 118 №-ში 1931 წ. აპრილის 30-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

101. მუშათა და გლეხთა წითელ არმიაში გაწვეულ სამხედრო მსახურთა ოჯახების უზრუნველყოფის ნორმების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს 1931 წლისთვის მუშათა და გლეხთა წითელი არმიის კადრებში და მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შედგენილობაში გაწვეულ სამხედრო მსახურთა ოჯახის წევრებისათვის, რომელთაც უზრუნველყოფის უფლება აქვთ, მისაცემი დახმარების შემდეგი რაოდენობა:

ა) **სოფლად**—ოჯახის ერთ შრომისუუნარო წევრზე—9 მან., მეორეზე—7 მან., მესამეზე—6 მან., მეოთხეზე და შემდგომზე—ხუთ-ხუთი მანეთი;

ბ) **ქალაქად**—ოჯახის ერთ შრომისუუნარო წევრზე—16 მან., მეორეზე—13 მან., მესამეზე—11 მან., მეოთხეზე და შემდგომზე—რვა-რვა მანეთი.

შენიშვნა. მე-3 კატეგორიის შეღავათელის ოჯახის წევრნი დახმარებას იღებენ მხოლოდ მესამე, მეოთხე და შემდგომ შრომისუუნარო წევრზე ამა დადგენილებაში განსაზღვრული რაოდენობით, რაც დადგენილია პირველისა, მეორისა და შემდგომი შრომისუუნარო წევრისათვის—შესაბამისობით.

2. მიენდოს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს გამოსცეს ერთი დეკადის ვადაზე ამა დადგენილების განსაკუთარებლად ინსტრუქცია მუშათა და გლეხთა წითელ არმიაში გაწვეულთა ოჯახის წევრებისათვის დახმარების მიცემის წესის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1931 წ. აპრილის 29.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 124 №-ში 1931 წ. მაისის 8-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

102. საქართველოს სსრ-ში ყარაიას რაიონის მოწყობის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დადასტურებულ იქნეს საქართველოს სსრ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1931 წ. აპრილის 19-ის დადგენილება „ყარაიას

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამოუკიდებელი რაიონის მოწყობის შესახებ"—რაიონის ცენტრით სოფ. ყარაიაში და შტატების მხრით ამ რაიონის მე-X კატეგორიისათვის, ხოლო ჯამაგირის განაკვეთების მხრით—მე-8 კატეგორიისათვის მიკუთვნებით.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1931 წ. აპრილის 29.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 128 №-ში 1931 წ. მაისის 12-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

103. ა/კსფსრ-ში ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების შესახებ.

სსრკ ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის მარტის 29-ს დამტკიცებული ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების თანახმად და განსავითარებლად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების 34, 35, 37 მუხლებისა და 2f მუხლის 1-ლი შენიშვნის თანახმად ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებისათვის დაწესებულ იქნეს შემოსავლიანობის შემდეგი საშუალო ნორმები:

რესპუბლიკები	ერთი ჰექტარი მიწის შემოსავალი									
	ნათესი	სათიბი	ბოსტანი და ბაღჩა	ბალი	თამბაქო	ბრინჯი	ბამბა	კარტოფ.	ყურძენი	ბანდარ. ნაუოვები
აზერბაიჯანი . . .	52	18	230	275	260	230	52	52	320	—
სომხეთი	52	18	230	275	260	230	52	52	370	—
საქართველო . . .	52	18	230	310	372	230	52	52	380	560
ა/კსფსრ . .	52	18	230	300	370	230	52	52	350	560

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკები	ერთი სული საქონლის შემოსავალი					მეფუტკრეობა	
	ცხენი, აქლემი ჯორი	მსხვილ. რქიანი საქონ. ბარეგა ხარის და კამეჩის	ხარი და კამეჩი	ჯორი	ცხვარი და თხა	სკა	
						ჩარჩოიანი	ზეიჯა
აზერბაიჯანი . . .	17	16	15	6	3	8	5
სომხეთი	17	16	15	6	3	8	5
საქართველო . . .	17	14—60	15	6	3	8	5
ა/ქსფსრ . .	17	15—50	15	6	3	8	5

2. მიენდოს ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს დააწესონ ცალკეული ადმინისტრატიულ ტერიტორიალური ერთეულებისათვის, რომელნიც რესპუბლიკების შედგენილობაში შედიან, შემოსავლიანობის ნორმები შემოსავლის (ერთი ჰექტარი მიწის შემოსავლიანობა და და თითო სული ოთხფეხი საქონლის შემოსავლიანობა) თვითეული წყაროსათვის, რაც ჩამოთვლილია ამა დადგენილების 1-ლ მუხლში; ამასთანავე, თვითეულ რესპუბლიკაში უცვლელად უნდა დარჩეს სოფლის მეურნეობის თვითეული დარგის დასაბეგრი შემოსავლის საერთო თანხა, რაც განსაზღვრულია რესპუბლიკებისათვის დაწესებული ნორმების მიხედვით.

3. დებულების 28 მუხლის 1-ლი შენიშვნისა და 37 მუხლის თანახმად ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს შეუძლიანთ დაბეგრონ ერთიანი სასოფლო სამეურნეო გადასახადით სოფლის მეურნეობის აგრეთვე სხვა სპეციალური დარგები ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული დარგების დამოუკიდებლად (გარდა მეაბრეშუმეობისა, შინაური მეკურდღლეობისა და მეფრინველეობისა) და დააწესონ ამ დარგებისათვის შემოსავლიანობის ნორმები.

4. დებულების 36, 38 და 39 მუხლების თანახმად ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს შეუძლიანთ დააწესონ:

ა) სარწყავი და ბოგარული ნათესების შემოსავლიანობის სხვადასხვა ნორმები;

ბ) მებამბეობის რაიონებში მეურნეობათა ცალკეული კატეგორიებისათვის იმ სარწყავი მიწების შემოსავლიანობის გადიდებული ნორმები, რომლებიც გამოსადეგია ბამბისათვის და დათესილია მარცვლეული კულტურებით;

გ) შემოსავლიანობის სხვადასხვა ნორმები: ა) მოღვარული და არამოღვარული სათიბებისათვის; 2) სხვადასხვა სახის ბოსტნებისა, ბაღჩებისა დს ბაღებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. იმ მოქალაქემ, რომელიც საქალაქო მიწაზე სოფლის მეურნეობას აწარმოებს, თავისი შემოსავლისათვის უნდა გადაიხადოს ან ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, ან საშემოსავლო გადასახადი.

დაბეგვრის ამა თუ იმ წესს განსაზღვრავენ საქალაქო სიბჭოები ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების დირექტივის შესაბამისად.

6. დებულების 41 მუხლის თანახმად მემინდვრეობის შემოსავალი ყველგან ა/კსფსრ-ში განისაზღვროს ნათესების მიხედვით, ე. ი. მეურნეობაში ფაქტიურად დათესილი მიწის კვალობაზე.

7. დებულების 48 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად საშინამრეწველო, სახელოსნო და სხვა არასამიწათმოქმედო შემოსავალი, როდესაც გამოყენებული არ არიან დაქირავებული მუშები, შეიტანება მეურნეობის დასაბეგრავ შემოსავალში 50%-ის რაოდენობით.

8. დებულების 58 მუხლის თანახმად კარაქ-ზეთეულის წარმოების სამრეწველო რაიონების ნუსხას დაადგენენ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები.

9. დებულების 28 მუხლის მე-2 შენიშვნის თანახმად ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები განსაზღვრავენ მონადირეობის განვითარების სამრეწველო რაიონებს.

10. დებულების მე-12 მუხლის თანახმად ერთი ჰექტარი ბრინჯის პლანტაციის საერთო შემოსავალი კოლექტიურ მეურნეობაში ეთანაბრება იმავე მეურნეობის ერთი ჰექტარი მარცვლეული კულტურების შემოსავალს.

11. დებულების მე-13 მუხლის თანახმად იმ კოლექტიურ მეურნეობას, რომელიც შეასრულებს საწარმოო დავალებებს ჭრინახულის დათესვისა, მოვლისა და აკრეფის სფეროში, დაეკლება გამოანგარიშებული გადასახადის თანხის 10%-ი.

12. ყველა კულაკური მეურნეობა დაიბეგრება მისი ნამდვილი შემოსავლიანობის კვალობაზე ინდივიდუალური წესით და არა ნორმების მიხედვით.

ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა უნდა დამყარონ მუჟაითი მეთვალყურეობა, რათა ინდივიდუალური წესით არავითარ შემთხვევაში არ იბეგრებოდეს საშუალო მეურნეობა. ამ წესის დარღვევისათვის დამნაშავე უნდა მიიცეს სასტიკ პასუხისგებაში ადმინისტრატიული ან სასამართლო წესით.

13. მეურნეობა კულაკურ მეურნეობად ითვლება და ინდივიდუალური წესით იბეგრება, უკეთუ მას აქვს ერთ-ერთი შემდეგი ნიშნი:

ა) უკეთუ მეურნეობა სისტემატიურად იყენებს დაქირავებულ შრომას სასოფლო-სამეურნეო მუშაობაში ან შინამრეწველობაში და საწარმოში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც დაქირავებული შრომის გამოყენებას იწვევს ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა თავისებურობა და იგი არ სცილდება მუშაძალის დაქირავებისათვის დადგენილ ფარგლებს;

შენიშვნა. ისეთ მეურნეობაში, რომელსაც არა ჰყავს შრომისუნარიანი მამაკაცები (ქვრივთა, ობოლთა, ინვალიდთა და მოსწავლეთა), ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკეთუ შრომისუნარიანები მძიმე ავადმყოფნი არიან, იმყოფებიან წითელ არმიაში, სამოო მუშაობაში ან გასულნი არიან სამშენებლო სამუშაოზე,— ერთი მუდმივი დაქირავებული მუშის ყოლა და სასეზონო დღეები დადგენილ ფარგლებში, ან დადგენილ ფარგლებზე მეტი სასეზონო დღეები, რაც არ აღემატება ერთი მუდმივი მუშის სამუშაო დღეების რიცხვს, არ წარმოადგენს ინდივიდუალური წესით დაბეგვრის ნიშანს;

მუშა-ძალის დაქირავების ზღვრულ ფარგლებად, რაც არ იწვევს ინდივიდუალური წესით დაბეგვრას, დაწესდეს:

1) მარცვლეულის მეურნეობისათვის — 35 დან 50 დღემდე; ამასთანავე, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები, ადგილობრივი პირობების მიხედვით, დააწესებენ რაიონობით სამარცვლეულო მეურნეობებში მუშა-ძალის დაქირავების ოდენობას აღნიშნული ფარგლების კვლობაზე;

2) ბაღის მეურნეობისათვის—75 დღემდე;

3) ჩაის მეურნეობისათვის—100 დღემდე;

4) ბამბის მეურნეობისათვის—150 დღემდე;

5) თამბაქოს მეურნეობისათვის—200 დღემდე;

6) ბრინჯის მეურნეობისათვის არა-საბამბე რაიონებში—50 დღემდე, ხოლო ლენქორანისა, მასსალისა, ასტრახან-ბაზარისა და ასტარის რაიონებში ბრინჯის მეურნეობისათვის—75 დღემდე;

შენიშვნა. საბამბე რაიონებში მუშა-ძალის დაქირავება ბრინჯის მეურნეობისათვის ითვლება მეურნეობის ინდივიდუალური წესით დაბეგვრის ნიშნად, იმისდამიუხედავად თუ რამდენი მუშა იქნება დაქირავებული;

7) ყურძნის მეურნეობისათვის—75-დან 100 დღემდე; ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს უფლება აქვთ—დააწესონ, ადგილობრივი პირობების კვლობაზე, რაიონობით ყურძნის მეურნეობებისათვის მუშა-ძალის დაქირავების ოდენობა აღნიშნულ ფარგლებში;

შენიშვნა. აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭო დაადგენს განჯის რაიონის ყურძნის მეურნეობებისათვის მუშა-ძალის დაქირავების სპეციალურ ზღვრულ ოდენობას;

8) მესაქონლეობის მეურნეობისათვის—1 მწყემსი ან ერთი მწყემსის თანაშემწე;

ბ) უკეთუ მეურნეობას აქვს წისქვილი, კარაქის სადღვები ან ზეთის სახდელი ქარხანა, ბურღულის საცეზი საწარმო, საჩაჩელი ან საპენტი საწარმო, სასრესი ქარხანა, კარტოფილის საწარმო, ხილის ან ბოსტნეულის სახმობი საწარმო, სანაყავი საწარმო, ნორმეული ქარხანა ან სხვა სამრეწველო საწარმო და უკეთუ ყველა ამ საწარმოში გამოიყენება მექანიკური ძრავი ან წყლისა თუ ქარის ძალა და თანაც. უკეთუ წისქვილის შემოსავალი აღემატება წელიწადში 150 მან., ხოლო სხვა საწარმოს შემოსავალი—125 მანეთს;

შენიშვნა. უკეთუ წყლისა ან ქარის ძალით მომქმედი საწარმო ეკუთვნის რამდენსამე თანამფლობელს, ინდივიდუალური წესით, თუ სხვა რამ ნიშნები არ არსებობს, დაიბეგრება მათ შორის მხოლოდ ის, ვისი შემო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკალიც ამ საწარმოს იმ ნაწილისა, რაც მას ეკუთვნის, აღემატება, თუ წისქვილია,—150 მან. წელიწადში, ხოლო, თუ სხვა საწარმოა, 125 მან. წელიწადში;

ბ) უკეთუ მეურნეობას აქვს სამრეწველო საწარმო, რომლის მეშვეობითაც იგი ეწევა გარემო მოსახლეობის ექსპლოატაციას სამუშაოს სახლში გაცემით, ან უკეთუ იგი ამ საწარმოს იჯარით იძლევა და თანაც ეს მისი შემოსავალი აღემატება 125 მან. წელიწადში;

დ) უკეთუ მეურნეობა აქირავებს ამა თუ იმ რთულ სასოფლო-სამეურნეო მანქანას ან ამ მანქანით ასრულებს სამუშაოს სხვა მეურნეობებისათვის სასყიდლით;

ე) უკეთუ მეურნეობა, შეამცირა-რა თავისი სათესი ფართობი, სისტემატიურად აქირავებს თავის ცოცხალ საწვე ძალას სხვა მეურნეობებს და ეს მისი შემოსავალი აღემატება 125 მან. წელიწადში;

ვ) უკეთუ მეურნეობა იჯარით იღებს მიწას და საიჯარო პირობები საარაიონო საგადასახადო კომისიის მიერ ცნობილია კაბალურ პირობებად მიწის იჯარით გამცემისათვის;

ზ) უკეთუ მეურნეობა აქირავებს ცალკეულ გაწყობილ შენობას საცხოვრებლად ან საწარმოს მოსათავსებლად და ამ გაქირავებით მიღებული შემოსავალი აღემატება 200 მან. წლიურად ყველა რაიონში, გარდა საკურორტო რაიონისა; საკურორტო რაიონში მეურნეობა კულაკურ მეურნეობად ითვლება და ინდივიდუალური წესით იბეგრება, უკეთუ მეურნეობის საკრთო შემოსავალი აღემატება 500 მანეთს, ხოლო გაქირავებით მიღებული შემოსავალი—300 მან.;

შენიშვნა. კულაკურ მეურნეობათ არ შეიძლება მიეკუთვნოს იმ მუშისა თუ მოსამსახურის მეურნეობა, რომლის ძირითადი მოსაქმეობა დაქირავებით მუშაობაა ან სამსახური, და რომელსაც აქვს პატარა სასოფლო მეურნეობა როგორც დამხმარე საშემოსავლო წყარო; ამის გარდა, ისეთი მუშის თუ მოსამსახურის მეურნეობა, რომელსაც აქვს საკუთარი შენობა, რასაც იგი იჯარით იძლევა; ასეთი მუშა თუ მოსამსახურე სასოფლო-სამეურნეო გადასახადით უნდა დაიბეგროს საერთო წესისამებრ, როგორც იბეგრება საგლეხო შრომითი მეურნეობა;

თ) უკეთუ მეურნეობა, სავაჭრო ან სამრეწველო ექსპლოატაციის მიზნით, იჯარით იღებს ბაღს, ვენახს და სხვ.; ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები აწესებენ ბაღებისა და ვენახების იჯარით გაცემის ზღვრულ ოდენობას და პირობებს;

ი) უკეთუ მეურნეობის წევრები ეწევიან ვაჭრობას, მევახშეობას ან მათ აქვთ სხვა არაშრომითი შემოსავალი, მათ შორის რელიგიური კულტის მსახურნი,—იმის მიუხედავად, თუ რა შემოსავალს იღებენ.

შენიშვნა. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს უფლება აქვთ, ადგილობრივი პირობების მიხედვით, შეავსონ ზემოაღნიშნული ნიშნების ნუსხა.

14. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ინდივიდუალურ წესისამებრ დაბეგრილ მეურნეობას არავითარი საგადასახადო შეღავათის მიღების უფლება არ აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

15. დებულების მე-19 მუხლის თანახმად გადასახადის გასტუმრების ვადად კოლექტიურ მეურნეობებისათვის დაწესდეს:

1931 წლის ნოემბრის 1-თვის . . . შეწერილი გადასახადის 50%-ი;
1931 წლის დეკემბრის 15-თვის . . „ „ 50%-ი.

ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს უფლება აქვთ, საჭირო შემთხვევაში, შესცვალონ ეს ვადა ცალკეული რაიონებისათვის.

16. დებულების 76 მუხლის თანახმად გადასახადის გასასტუმრებლად ინდივიდუალურ საშუალო მეურნეობებისათვის და კოლმეურნეთათვის დაწესებულ იქნეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში შემდეგი ზღვრული ვადები:

1-ლი ვადა—ოქტომბრის 1-დე . . . შეწერილი გადასახადის 25%-ი;
მე-2 ვადა—ნოემბრის 15-დე . . . „ „ 45%;
მე-3 ვადა—დეკემბრის 15 დე . . . „ „ 30%.

ამ ვადების მიხედვით ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები დაწესებენ ვადებს რაიონებისათვის და გამოაქვეყნებენ ამას საყოველთაო ცნობად.

17. სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ინდივიდუალური წესისამებრ დაბეგრილი მეურნეობა თავის ხვედრი გადასახადის თანხას გადაიხდის 1931 წ. ოქტომბრის 1-თვის სრულად.

18. დებულების 89, 90, 93, 94, 95, 97, 98 და 99 მუხლების თანახმად—ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარება სოფლად დაკისრებული აქვთ სასოფლო საბჭოებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და იმ ქალაქადგილების საქალაქო საბჭოებს, სადაც სასოფლო მეურნეობის მწარმოებელი პირნი ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით იბეგრებიან.

1) სასოფლო საბჭოებს დაეკისრებათ:

ა) შემოსავლის წყაროების აღნუსხვა;

ბ) წინასწარი სიების შედგენა: 1) იმ მცირეძალოვანი მეურნეობებისა, რომელნიც მთლად ან ნაწილობრივ განთავისუფლებულ უნდა იქნენ გადასახდისაგან; 2) იმ მეურნეობებისა, სადაც იბეგრება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების კერძო ბაზარზე გაყიდვით მიღებული შემოსავალი (დებულების 49 მუხლი); 3) ინდივიდუალური წესით დასაბეგრავი კულაკური მეურნეობებისა;

გ) დასაბეგრავი შემოსავლისა და სასოფლო-სამეურნეო გადასახადის რაოდენობის გამოანგარიშება, საშენაწერო ფურცლების შევსება, ცალკეულ გადამხდელთა პირადი ანგარიშების წარმოება და აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მთელი ანგარიშწარმოებისა და ანგარიშგების წარმართვა ისეთ შემთხვევაში, როდესაც ეს დაკისრებული აქვს სასოფლო საბჭოს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ;

დ) გადამხდელთათვის საშენაწერო ფურცლების ჩაბარება;

ე) გადასახადის მიღება და დადგენილი წესისამებრ საგადასახადო განაღებთა მიმღები დაწესებულებისათვის გადაგზავნა;

ვ) აქტების შედგენა სტიქიური უბედურებათა შემთხვევაში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ) ზედმეტად შეტანილი გადასახადის დაბრუნება ან გაბრა, უკეთუ სასოფლო საბჭო აწარმოებს გადასახადის მიღებას;

თ) ჯარიმის დადება ადმინისტრატიული წესით დებულების 98 მუხლის თანახმად;

ი) იძულებითი გადახდევინების ღონისძიებათა შეფარდება არაპირიან გადამხდელთათვის.

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანიის ჩასატარებლად ყველგან სასოფლო საბჭოსთან ნოეწყობა სასოფლო საგადასახადო კომისია.

სასოფლო საგადასახადო კომისიის წევრებად არიან: სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე, გლეხთა საერთიერთო დახმარების საზოგადოების კომიტეტის თავმჯდომარე, სოფლის ყრილობის მიერ ამორჩეული პირი, კოლექტიური მეურნეობის გამგეობის წარმომადგენელი და ღარიბთა ჯგუფის წარმომადგენელი.

სასოფლო საგადასახადო კომისიის თავმჯდომარედ სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეა.

სასოფლო საგადასახადო კომისიას დაეკისრება:

ა) განიხილოს და დამტკიცოს სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლებულ მცირეძალოვან მეურნეობათა სია;

ბ) წინასწარ განსაზღვრას თვითეული მეურნეობის არასამიწათმოქმედო სამეშაო საშოერის რაოდენობა;

გ) წინასწარ განსაზღვროს იმ მეურნეობათა შემოსავალი, სადაც დაიბეგრება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების კერძო ბაზარზე გაყიდვით მიღებული შემოსავალი;

დ) წინასწარ განიხილოს კულაკური მეურნეობათა სია და განსაზღვროს მათი შემოსავალი;

ე) წინასწარ განიხილოს ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადამხდელთა საჩივრები და თხოვნები შეღავათებისა და მონაკლების შესახებ.

2) სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს დაეკისრებათ:

ა) აღნუსხვისათვის ხელმძღვანელობის გაწევა;

ბ) სასოფლო საბჭოების მიერ სოფლობითი სიების შედგენისა და შემოსავლის წყაროების აღნუსხვის სისწორის შემოწმება;

გ) სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლებულ მეურნეობათა სიის დამტკიცება;

დ) რაიონის ფარგლებში გადასახადის გადახდევინებისათვის საერთო მეთვალყურეობისა და ხელმძღვანელობის გაწევა;

ე) კოლექტიური მეურნეობების გამგეობათა ინსტრუქტირება, მათ მიერ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გამოანგარიშებისათვის მეთვალყურეობის გაწევა და მათ მიერ გადასახადის წინასწარი და საბოლოო გამოანგარიშების სისწორის შემოწმება;

ვ) სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებულ მეურნეობათა ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან მთლად ან ნაწილობრივ განთავისუფლება;

ზ) კანონით დათვალისწინებული ყველა შეღავათისა და მონაკლების მინიჭება;

თ) იძულებითი გადახდევინების ღონისძიებათა შეფარდება გადასახადთა გადახდევინების დებულებით გათვალისწინებული წესისამებრ;

ი) თვის დროზე ცნობების წარუდგენლობისათვის ან გადასახადის გამოსაანგარიშებლად საჭირო ცნობების არასისწორით წარდგენისათვის კოლექტიური მეურნეობების დაჯარიმება;

კ) დასაბეგრავი შემოსავლისა და სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გამოანგარიშება, იმ რაიონების გამოკლებით, სადაც ეს სამუშაო დაკისრებული აქვთ სასოფლო საბჭოებს;

ლ) ზედმეტად შეტანილი გადასახადის დაბრუნება და გაბრა;

მ) ცალკეულ გადამხდელთა პირადი ანგარიშების წარმოება და აგრეთვე სას.-სამ. გადასახადის მთელი ანგარიშწარმოებისა და ანგარიშგების წარმართვა.

სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან არსდება სარაიონო საგადასახადო კომისიები შემდეგი შედგენილობით:

ა) თავმჯდომარე—სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე;

ბ) სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის სარაიონო საფინანსო განყოფილების გამგე;

გ) საადგილმამულო განყოფილების გამგე;

დ) სათანადო პროფესიონალური ორგანიზაციის წარმომადგენელი;

ე) სარაიონო საკოლმეურნეო კავშირის გამგეობის წევრი;

ვ) იმ სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე, რომელსაც ეხება ამა თუ იმ სოფლის საქმე;

ზ) სარაიონო საგეგმო ორგანოს წარმომადგენელი.

სარაიონო საგადასახადო კომისიას დაეკისრება:

ა) წინასწარ განიხილოს პროექტი სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებისა ცალკეული შემოსაველის წყაროებისათვის შემოსავლიანობის ნორმების დაწესების შესახებ, ისეთ შემთხვევაში, როდესაც დებულების 35 მუხლის წესისამებრ ეს უფლება მინიჭებული აქვს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს;

ბ) გადასწყვეტოს საკითხი გადასახადისაგან მცირეძალოვან მეურნეობათა განთავისუფლების შესახებ;

გ) განიხილოს და დაამტკიცოს იმ მეურნეობათა სიები და შემოსავლის რაოდენობა, რომელნიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს კერძო ბაზარზე ჰყიდიან;

დ) განიხილოს გადამხდელთა საჩივრები;

ე) განიხილოს და დაამტკიცოს იმ მეურნეობათა სია, რომლებიც ინდივიდუალური წესით იბეგრებიან, და განსაზღვროს მათი შემოსავალი;

ვ) დაანწესოს გადამხდელთა არასამეწარმოქმედო სამუშაო საშოვრის რაოდენობა და საბოლოოდ განსაზღვროს იმ მეურნეობათა მთელი დასაბეგრავი თანხა, რომელთაც აქვთ არასამეწარმოქმედო სამუშაო საშოვარი;

ზ) განიხილოს კოლექტიურ მეურნეობათა საჩივრები.

ამა დადგენილების აღსრულებისათვის ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა უნდა გამოსცენ და გამოაქვეყნონ თავიანთი დადგენილებანი არა უგვიანეს 1931 წ. აპრილის 20-სა.

ამა დადგენილების შეფარდებისათვის სახელმძღვანელო დირექტივების გამოცემა დაეკისროს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ა. დოგადოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1931 წ. აპრილის 16.

№ 352.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 105 №-ში 1931 წ. აპრალის 17-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

104. ბამბისათვის დანიშნული, ხოლო სხვა კულტურებით დათესილი მიწების გადახვნაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ყველა ის მიწა, რაც 1931 წლის გეგმით დანიშნული იყო ბამბის დასათესად, ხოლო დაჭერილ იქნა სხვა კულტურებით, დაუყოვნებლივ გადაიხნას ბამბისათვის.

2. დადგენილ იქნეს ბამბისათვის დანიშნული, ხოლო სხვა კულტურებით დათესილი მიწების გადახვნაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურების შემდეგი წესი:

ა) ის საშუალო მეურნეობა, რომელმაც საბამბე ფართობზე სხვა კულტურა დათესა, ამ ფართობის გადახვნისა და ბამბის დათესვისათვის მიიღებს გაწეული ხარჯების საზღაურად დათესვაზე დახარჯული მარცვლეულის ღირებულებას ფულად მტკიცე სადამზადებლო ფასის მიხედვით და ჰექტარზე შვიდი ფუთის მარცვლეულის ღირებულების ანგარიშით;

ბ) კოლექტიურ მეურნეობას და ღარიბ მეურნეობას კომპენსაცია მიეცემა „ა" პუნქტის მიხედვით და, ამის გარდა, მოხვნის ღირებულება იმ ანგარიშით, თუ რა ეღირება მიწის გადასახნავად წარმოებული მუშაობა სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მტკიცე ფასების კვლობაზე;

გ) კულაკური და შეძლებული მეურნეობა გადახვნას აწარმოებს თავისი ხარჯით და თავისი საშუალებით.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—გამოსცენ ერთი დეკადის ვადაზე ამა დადგენილების განსაკუთრებულად წესები მისი განხორციელებისათვის.

4. დადგენილება ესე გავრცელებულ არ იქნეს ნახიჩევანის სსრ-ზე, უკეთუ იქ მარცვლეულით დათესილი სამამზე ფართობები კომპენსირებულ იქნება სხვა ფართობებით.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ა. დოგადოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1931 წ. აპრილის 19.

№ 355.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 108 №-ში 1931 წ. აპრილის 20-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

105. სსრკ-ის მთავრობის მიერ დაკრედიტების სისტემის შეცვლისა და სამეურნეო ანგარიშის განმტკიცების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების განხორციელების შესახებ.

მოისმინა-რა ამხ. ლაქტიონოვის ცნობა ამიერკავკასიაში საკრედიტო რეფორმის ღონისძიებათა განხორციელების შესახებ, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს:

დაკრედიტების სისტემაში ცვლილების შეტანისა, საკრედიტო რეფორმის განმტკიცებისა და ყველა სახელმწიფო ორგანოში სამეურნეო ანგარიშის უზრუნველყოფის შესახებ სსრკ-ის მთავრობის მიერ მიმდინარე წლის იანვრის 14-სა და მარტის 20-ს გამოტანილ გადაწყვეტილებათა მიუხედავად, სახელმწიფო ორგანოებმა სსრკ-ის მთავრობის აღნიშნული გადაწყვეტილებანი არ განახორციელეს და საამისო მოსამზადებელი მუშაობა ჩატარებულია მეტისმეტად არადამაკმაყოფილებელად.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ცალკე აღნიშნავს, რომ სუსტად არის გაშლილი მუშაობა სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების მიერ ხელშეკრულებათა დადებისათვის, მთელ რიგ სახელმწიფო ორგანოებში აღნუსხვისა და ანგარიშგების მდგომარეობა ქაოტიურია, რაც ხელს უშლის საწარმოთა საფინანსო-სამეურნეო მდგომარეობის ზედამიწევნითი სურათის გამორკვევას, შესრულებული არ არის მთელი რიგი სამეურნეო ორგანოების მიერ სამრეწველო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფინანსო გეგმა და შეფერხებულია დოკუმენტთა ბრუნვა სახელმწიფო ბანკის სისტემაში.

ამისდამიხედვით ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაეკისროს ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციას და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მუშათა და გლეხთა ინსპექციებს იქონიონ შეუსუსტებელი მეთვალყურეობა და კონტროლი როგორც სახელმწიფო ბანკისა, ისე სამეურნეო ორგანოების აპარატის გარდაქმნის თაობაზე ხელშეკრულების დადებისათვის.

2. დაევალოს სამეურნეო ორგანოებს გარდაქმნან თავიანთი აპარატები მიმდინარე წლის მაისის 1-თვის, შეუფარდონ იგი სამეურნეო ანგარიშის განმტკიცების მოთხოვნათ და დაამთავრონ აღნიშნული ვადისათვის ხელშეკრულებათა დადება.

3. წინადადება მიეცეს ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ამხ. კვანტალიახს გამოჰყოს ხუთი დღის ვადაზე ფოსტა ტელეგრაფის რწმუნებულის სამმართველოს ყველა რგოლეულში—სახელმწიფო ბანკის საფოსტო გზავნილთა დამუშავებისა, გადაგზავნისა და მიტანის ოპერაციების თავის დროზე და სათანადოდ შესრულებისათვის—პერსონალურად პასუხისმგებელი პირნი.

4. წინადადება მიეცეს სსრკ-ის სახელმწიფო ბანკის ამიერკავკასიის სამხარეო კონტორის მმართველს ამხ. ლაქტიონოვს—გამოჰყოს სახელმწიფო ბანკის ყველა რგოლეულში პერსონალურად პასუხისმგებელი პირნი, რომელნიც მიიღებენ, ჩაამარებენ და დაამუშავებენ შემოსულ და გასულ კორესპონდენციას, რაც ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს აღნიშნული კატეგორიის დოკუმენტებს ეხება,

სახელმწიფო ბანკისა და ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთის მიერ გამოყოფილ პირთა შესახებ ეცნობოს ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციას.

5. დაეკალოს სსრკ-ის სახელმწიფო ბანკის ამიერკავკასიის სამხარეო კონტორას გაავრცელოს დიდრონ ფილიალებში მიღებული პრაქტიკა კონსულტაციებისა—დაკრედიტების ახალი სისტემის შეფარდების საკითხის გამო—სახელმწიფო ბანკის ყველა ფილიალზე ამიერკავკასიაში.

6. ამიერკავკასიის ბეჭდვითმა ორგანოებმა უახლოესი თვის განმავლობაში უნდა მოაწყონ სპეციალური განყოფილებანი, სადაც გაშუქებულ იქნება საწარმოთა და დაწესებულებათა სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის საქმის მსვლელობა, სახელშეკრულობო მუშაობის მსვლელობა და, საერთოდ, მუშაობა „დაკრედიტების სისტემის შეცვლისა და სამეურნეო ანგარიშის განმტკიცების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1931 წ. მარტის 20-ის დადგენილების განხორციელებისათვის.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე ა. **დოგადოვი**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. **შავერდოვი.**

1931 წ. აპრილის 19.

№ 356.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 108 №-ში 1931 წ. აპრილის 20-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

106. სპეციალისტების გარდაგზავნის შესახებ.

„სპეციალისტების გარდაგზავნის შესახებ“ გამოცემულ სსრკ ის სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. თებერვლის 11-ის დადგენილებასთან დაკავშირებით (სსრკ კან. კრ. 1931 წ. მე-13 №-ი, მუხ. 132) და იმ მიზნით, რათა დამყარებულ იქნეს გეგმიანობა სპეციალისტების გარდაგზავნისათვის ერთი და იმავე სახალხო კომისარიატის ფარგლებში ერთი სამეურნეო შენაერთიდან მეორე სამეურნეო შენაერთში, ან ერთი უწყებიდან მეორე უწყებაში,—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო დადგენს:

1. ერთი და იმავე სახალხო კომისარიატის ფარგლებში ერთი სამეურნეო შენაერთიდან მეორე სამეურნეო შენაერთში სპეციალისტების გარდაგზავნის დროს სათანადო დადგენილება ამ გარდაგზავნის შესახებ უნდა იყოს ორი ხელმოწერით:

ა) საამერკავკასიო მნიშვნელობის საწარმოთა მიმართ—ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისრისა და სათანადო სახალხო კომისრის ხელმოწერით;

ბ) რესპუბლიკანური მნიშვნელობის დაწესებულებათა და საწარმოთა მიმართ—ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისრისა და სათანადო სახალხო კომისრის ხელმოწერით.

2. ერთი უწყებიდან მეორე უწყებაში სპეციალისტების გარდაგზავნის დროს, უკეთუ უწყებათა შორის საკითხი შეთანხმებულია, დადგენილებას სპეციალისტების გარდაგზავნის შესახებ ხელს მოაწერს შრომის სათანადო სახალხო კომისარი (ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი ან რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარი), იმის აღნიშვნით, რომ შეთანხმება არსებობს.

უკეთუ უწყებათა შორის შეუთანხმებლობა მოხდა,—სპეციალისტის გარდაგზავნის საკითხს გადასწყვეტს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ეკონომიური თათბირი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ა. დოგადოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1931 წ. აპრილის 19.

№ 363.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

107. აკსფსრ-ში ხრალეული კულტურების განვითარების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ, მიუხედავად მთელი რიგი დადგენილებებისა, აქამდე დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა არ მიაქციეს საკმაო ყურადღება ა/კსფსრ-ში ხრალეული საქსოვი კულტურების განვითარების საქმეს, განსაკუთრებით რამსა და კენდირს.

ამის შედეგი:

ა) ის, რომ ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და რესპუბლიკანური მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების მუშაობა—მიწების მიჩენისა და მიწათმოწყობისათვის, საბჭოთა მეურნეობებისა და საგლეხო მიწების განსაზღვრისათვის და საჭირო გადასახლების ჩატარებისათვის დასახული გეგმების თანახმად—სწარმოებს შეუწყნარებელი მძიმე ტემპით, რაც განზრახულ სამუშაოთა გეგმას აშკარა ჩაშლას უქადის;

ბ) ის, რომ სუსტად იშლება მუშაობა წყალსამეურნეო ორგანოებისა ხრალეული კულტურებისათვის დანიშნული მიწების საირრიგაციოდ, და პირველ რიგში საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს მუშაობა კოლხიდის ველის დაშრობისათვის, რაც საფრთხეში აგდებს 1931 წლის გეგმას და 1932 წ. კამპანიის მომზადების საქმეს.

ამასთანავე ერთად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ ახალი ხრალეული კულტურების ტრესტის მუშაობაც საბჭოთა მეურნეობების მშენებლობისა და ხრალეული კულტურების შთანერგვისათვის, პირველ რიგში რამისა, აგრეთვე არ შეესაბამება დასახულ ტემპებს. განსაკუთრებით არახელსაყრელ მდგომარეობაშია კენფის გაშენების საქმე „კენფფ"-ის სააქციო საზოგადოების უაღრესად არადამაკმაყოფილებელი მუშაობის გამო წასრული წელწადის განმავლობაში, რამაც გამოიწვია თესლის დამზადებისა და კენფის ნათესის ზრდის ჩაშლა 1931 წელს.

ახალი ხრალეული კულტურების ტრესტმა არ იხმარა საკმაო ღონისძიებანი ხრალეული კულტურების სამუშაოთა 1931 წლის გეგმის შესრულებისათვის. ფართობთა თვალსაჩინო შემცირებამ და ახალი ხრალეული კულტურების ტრესტის მიერ ამ ფართობთა დაგვიანებით გამორკვევამ მეტისმეტად ცუდად იმოქმედა საგაზაფხულო თესვის კამპანიის მოსამზადებელ მუშაობაზე და გამოიწვია ადგილებზე მუშაობის დეზორიენტაცია.

განსაკუთრებით შეუწყნარებელია რამის ფართობთა უაღრესად შემცირება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ოქტომბრის 14-ის დადგეილებით დასახულ გეგმასთან შედარებით.

ზემოაღნიშნულის მიხედვით ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. „ა/კსფსრ 1931 წლისათვის ხრალეული კულტურების ფართობთა საბოლოოდ განსაზღვრის შესახებ" გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. თებერვლის 1-ლის დადგენილების („ზარია ვოსტოკა"-ს 61 №-ი

1931 წ. მარტის 4-სა) გასაუქმებლად—ხრალეული კულტურების სფეროში 1931 წ. დავალებათა მტკიცე და საბოლოო გეგმა განისაზღვროს 21.845 ჰექტარით—ცალკეული კულტურების შემდეგი განაწილებით რესპუბლიკებზე და სექტორებზე:

	აზერბაიჯანი			სომხეთი			საქართველო			ა/კსფსრ		
	საბჭოთა მეურნეობ.	სახელმწყრ. სექტორი	ს ე ლ	საბჭოთა მეურნეობ.	სახელმწყრ. სექტორი	ს ე ლ	საბჭოთა მეურნეობ.	სახელმწყრ. სექტორი	ს ე ლ	საბჭოთა მეურნეობ.	სახელმწყრ. სექტორი	ს ე ლ
რამი	550	—	550	—	—	—	3.450	2.000	5.450	4.000	2.000	6.000
კენდირი . .	3.200	—	3.200	—	—	—	—	—	—	3.200	—	3.200
კანაფი . .	600	5.000	5.600	—	—	—	800	3.000	3.800	1.400	8.000	9.400
ბაბაგირო მც.	320	200	520	—	—	—	—	125	125	320	325	645
კანაფი . . .	130	680	810	—	100	100	300	—	300	430	780	1.210
ხაოიანი ხორც.	—	—	—	—	—	—	100	100	200	100	100	200
ლუფა . . .	—	—	—	—	—	—	—	250	250	—	250	250
დამმარე მც.	600	—	600	—	—	—	340	—	340	940	—	940
	5.400	5.880	11.280	—	100	100	4.990	5 475	10.465	10.390	11.455	21.845

2. რათა უხრუველეყოფილ იქნეს ზემოაღნიშნული გეგმის სავსებით შესრულება, მიენდოს აზერბაიჯანის სსრ-ის და საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოებს—თვითეულმა მათგანმა—შესაბამისობით:

ა) წინადადება მისცეს აფხაზეთის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—ახალი კოლხიდის რაიონში, გაგრის ახლო, მისაჩენად განზრახული 700 ჰექტარიდან რეალურად გააფორმოს ა. წ. მაისის 1-თვის 86 ჰექტარი მიწის სრული გადაცემა რამის სანერგისათვის; ამასთანავე, ეს მიწა თავისუფალ უნდა იქნეს საგლეხო მიწათსარგებლობისაგან; ხოლო 300 ჰექტარისა—მაისის 25-დე;

ბ) წინადადება მისცეს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს — შეეთანხმოს ხუთი დღის ვადაზე ახალი ხრალეული კულტურების ტრესტის ამიერკავკასიის განყოფილებას აღნიშნული ნაკვეთების დაშრობის საკითხის თაობაზე;

გ) წინადადება მისცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—დარჩელის რაიონწი მიჩენილი 2.000 ჰექტარიდან გაანთავისუფლოს საგლეხო მიწათსარგებლობისაგან, 124 ჰექტარის გარდა, კიდევ 300 ჰექტარი ა/წ. ივნისის 1-თვის და გააფორმოს 2.000 ჰექტარის გადაცემა;

დ) წინადადება მისცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—საბჭოთა მეურნეობისათვის მიჩენილი ნაკვეთი ქვალონი გაანთავისუფლოს ა. წ. მაისის 1-თვის საგლეხო მიწათსარგებლობისაგან;

ე) წინადადება მისცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—საბჭოთა მეურნეობებში 3.450 ჰექტარზე რამის ჩაყრის გეგმის განხორციელებისათვის გამოჰყოს ა. წ. მაისის 15-თვის 1.200 ჰექტარი მიწა, რაც ვარგისი იქნება 1931 წელს გამოსაყენებლად;

ვ) წინადადება მისცეს აზერბაიჯანის სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—განახორციელოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ოქტომბრის 14-ის დადგენილებით გათვალისწინებული დავალება—ნარიმანოვის სახელობის საბჭოთა მეურნეობის ფართობის 5.000 ჰექტარამდე მიღწევინების შესახებ და ნატურად მიჩნენ გაფორმებულ იქნეს ა. წ. მაისის 10-დე, ხოლო საგადასახლებლო ღონისძიებათა განხორციელება—ა. წ. ოქტომბრის 1-დე;

ზ) წინადადება მისცეს აზერბაიჯანის სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—დაამთავროს არა უგვიანეს მაისის 10-სა ზღვისნაპირა საბჭოთა მეურნეობისათვის მიწის ნაკვეთის მიჩენა 3.000 ჰექტარის როოდენობით, იმ პირობით, რომ დანარჩენი 4.500 ჰექტარი გამოყოფილ იქნეს 1932 წ. იანვრის 1-თვის;

ახალი ხრალეული კულტურების ტრესტის ამიერკავკასიის განყოფილებამ უნდა დააჩქაროს სამუშაოები ამ ნაკვეთებზე, რათა კენდირის პლანტაციები ჩაიყაროს 1931 წ. შემოდგომაზე;

თ) წინადადება მისცეს აზერბაიჯანის სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს გააფორმოს არა უგვიანეს ა. წ. მაისის 10-სა ლენქორანის საბჭოთა მეურნეობისათვის ანჯინის აგარაკის მიჩენა 2.000 ჰექტარის ფართობით; ამასთანავე, ახალი ხრალეული კულტურების ტრესტის ამიერკავკასიის განყოფილებას შესაძლებლობა უნდა მიეცეს—ჩაჰყაროს 1931 წ. შემოდგომაზე რამის პლანტაცია აია ნაკლებ, ვიდრე 500 ჰექტარის ფართობზე;

დანარჩენი ნაწილი ახალი ხრალეული კულტურების ტრესტის ამიერკავკასიის განყოფილებამ უნდა გამოიყენოს 1932 წელს.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და ა/კსფსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს გამოჰყონ პასუხისმგებელი კომისია, ახალი ხრალეული კულტურების ტრესტის ამიერკავკასიის განყოფილებისა, ეროსუბლიკანური მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებისა და სათანადო სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების წარმომადგენელთა მონაწილეობით, რათა ერთი თვის ვადაზე გამორკვეულ იქნეს მიწათმოწყობის სამუშაოთა მდგომარეობა ამა დადგენილების აღსრულების შემოწმების ადგილებზე და შემუშავებულ იქნეს საჭირო ღონისძიებანი მიწების მიჩენისათვის—ამ მიწების 1932 წელს გამოსაყენებლად.

4. მიენდოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს—დაავალოს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს:

ა) დაამთავროს ა. წ. მაისის 15-თვის მუშაობა ახალი ხრალეული კულტურების ტრესტის ალაზნის საბჭოთა მეურნეობის 1.500 ჰექტარი მიწის მორწყვისათვის;

ახალი ხრალეული კულტურების ტრესტის ამიერკავკასიის განყოფილებამ უნდა უზრუნველჰყოს ალაზნის ობიექტის სამუშაოები საჭირო კრედიტებით იმ სამუშაოების ფარგლებში, რაც დამატებით საჭიროა ალაზნის პროექტისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) უზრუნველჰყოს ცივა-ტეხურის ობიექტის ფარგლებში მდინ. ტეხურისა და რიონის შემობექურებისა და მდ. ნატორაოს და გეფთალის ჭადაგდების საშუშაოების დამთავრება ა. წ. მაისის 15-თვის; აგრეთვე დაამთავროს ა. წ. აგვისტოს 15-თვის აღნიშნულ ობიექტში მდ. ცივა-რიონის მარცხენა ნაპირის შემობექურების სამუშაოები;

გ) უზრუნველჰყოს ქვალონის ნაკვეთზე, ახალი ხრალეული კულტურების ტრესტის ამიერკავკასიის განყოფილებასთან დადებული ხელშეკრულების თანახმად, დამატებითი სადასაწრობო სამუშაოების შესრულება ა. წ. ივნისის 1-თვის; ამასთანავე, საწრობი ქსელი მიღწევინებულ უნდა იქნეს იქამდე, რომ შეიქმნას სრული გარანტია მიწების მიმდინარე შემოდგომაზე დათესვის შესაძლებლობისა.

5. მიენდოს აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს—წინადადება მისცეს აზერბაიჯანის სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს:

ა) უზრუნველჰყოს ახალი ხრალეული კულტურების ტრესტის ამიერკავკასიის განყოფილების ნარიმანოვის სახელობის საბჭოთა მეურნეობაში საწრეყავი ქსელის სამუშაოების დამთავრება ხელშეკრულებით დადგენილი ვადისათვის;

ბ) დაუყოვნებლივ შეუდგეს ახალი ხრალეული კულტურების ტრესტის ზღვისსპირა საბჭოთა მეურნეობაში საგამოკვლევო სამუშაოებს 3.000 ჰექტარის ფართობზე, ისეთი ვარაუდით, რომ ა. წ. სექტემბრის 1-თვის უზრუნველყოფილ იქნეს სასოფლო-სამეურნეო გამოსაყენებლად ვარგისი მიწების გამოსვლა არა ნაკლებ, ვიდრე 2.000 ჰექტარის ფართობით;

გ) დაუყოვნებლივ შეუდგეს ახალი ხრალეული კულტურების ტრესტის კალინოვსკის საბჭოთა მეურნეობაში (ლენქორანის რაიონი) საგამოკვლევო სამუშაოებს 3.000-დე ჰექტარის ფართობზე და ეს სამუშაოები დამთავრებულ იქნეს ა. წ. ივნისის 1-თვის—ამ ვადაში საგამოკვლევო ცნობების კამერალურად დამუშავებისათვის საკმარო დროის ჩათვლით;

დ) შეუდგეს არა უგვიანეს ა. წ. მაისის 10-სა საგამოკვლევო სამუშაოებს ახალი ხრალეული კულტურების ტრესტის აჯინის ობიექტში (ლენქორანის რაიონი) და შეადგინოს დაშრობისა და მელიორაციის პროექტი; ამასთანავე, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს არა ნაკლებ, ვიდრე 500 ჰექტარის გამოსაყენებლად მოგვარება 1931 წლის შემოდგომაზე.

6. დაევალოს ახალი ხრალეული კულტურების ტრესტს—უზრუნველჰყოს ყველა ხრალეული კულტურების ტრესტს 1931 წ. მოსავლის ღეროების მექანიკური პირველადი დამუშავება და შეუდგეს ამავე წელს ამიერკავკასიის საკატონნიზაციო ქარხნის შენებას.

7. საშუალო კვალიფიკაციის კადრების მოსამზადებლად დაევალოს ახალი ხრალეული კულტურების ტრესტს გაშალოს 1931 წელს მუშაობა ქალ. სენაკში ამიერკავკასიის აგრო-ინდუსტრიალური სახრალეულო ტეხნიკუმის მოსაწყობად და უზრუნველჰყოს იგი საჭირო მშენებლობით; აგრეთვე მოაწყოს საბჭოთა მეურნეობის სასწავლებლები და უზრუნველჰყოს საწარმოო პრაქტიკა სრულიად საკავშირო სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტის სახრალეულო განყოფილების სტუდენტებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. წინადადება მიეცეს ახალი ხრალეული კულტურების ტრესტის ამიერკავკასიის განყოფილებას.

ა) ერთი კვირის ვადაზე გამოარკვიოს სათესლეულო მასალის აღმოცენების მდგომარეობა და მიაწოდოს ადგილებს თესვის ნორმები:

ბ) არ აწარმოებინოს სამელიორაციო სამუშაოები დაუმტკიცებელი პროექტების გარეშე; ამასთანავე, ეს პროექტები აუცილებლად დაკავშირებულ უნდა იქნეს სათანადო წყალსამეურნეო ორგანიზაციების წყალსამეურნეო სამუშაოების განვითარების საერთო გეგმასთან;

გ) მუშა-ძალის მოთხოვნილების საკალენდრო გეგმის საფუძველზე გაშალოს სასწრაფო წესით და მასსური მასშტაბით მუშაობა მუშა-ძალიზ მოსაგროვებლად—სათანადო ხელშეკრულებების დადებით სასეზონო სამუშაოთა განსაზღვრული პერიოდისათვის;

დ) უზრუნველჰყოს საბჭოთა მეურნეობების ბინათმშენებლობის გეგმების შესრულება დადგენილ ვადაზე, რისთვისაც გამოიყენოს ადგილობრივი საშენი მასალა;

ე) გაშალოს მასსური მასშტაბით ყველა საბჭოთა მეურნეობაში სოციალისტური შეჯიბრება, დამკვრელობა და მოაწყოს საწარმოო თათბირთა დაუცადებელი მუშაობა; აგრეთვე გააუმჯობესოს კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა მუშათა შორის, რისთვისაც მოაწყოს წითელ კუთხეებთან მოძრავი ბიბლიოთეკები, კედლის გაზეთები, კურსები მუშათა კვალიფიკაციის წარმატებისა და თვითგანვითარებისათვის და სხვ.

9. წინადადება მიეცეს აზერბაიჯანის სსრ-ისა და საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოებს—დაავალონ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებს—დაუყოვნებლივ მოაწყონ მუწებისათვის მუდმივი სამკურნალო მომსახურეობის გაწევა და გახსნან საბჭოთა მეურნეობებში მალარიის საწინააღმდეგო პუნქტები.

10. რადგანაც 1931 წელიწადს ხრალეული კულტურების განვითარების საქმეში გადამწყვეტი და გარდამტეხი მნიშვნელობა აქვს და ამ წელიწადმა უნდა უზრუნველჰყოს ამ კულტურების მაქსიმალური ზრდა 1932 წელდწაში, წინადადება მიეცეს ახალი ხრალეული კულტურების ტრესტის ამიერკავკასიის განყოფილებას—მიაქციოს მთელი თავისი ყურადღება რამისა და კენდირის სარგავი მასალის დამზადებას არა მარტო მიმდინარე წლის გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად, არამედ აგრეთვე იმისათვის, რომ წარმატებით ჩატარებულ იქნეს 1932 წლის საგაზაფხულო რგვის კამპანია.

დაევალოს ახალი ხრალეული კულტურების ამიერკავკასიის განყოფილებას—დაუყოვნებლივ, სანერგეებში გაზაფხულზე დაჯეჯილების შედეგების გამორკვევისთანავე, წარმოუდგინოს ა/კსფარ სახალხო კომისართა საბჭოს, აკსფარ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მეშვეობით, შემოდგომის სანერგეების მოწყობის გეგმა 1932 წელს გადასარგველად.

ამასთან ერთად წინადადება მიეცეს ახალი ხრალეული კულტურების ტრესტის ამიერკავკასიის განყოფილებას მიაქციოს მთელი თავისი ყურადღება კენაფისა და კანაფის თესლეულის მოკრეფის კამპანიის მომზადებას და წარუდგინოს

ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, არა უგვიანეს ა. წ. ივლისის 1-სა, მტკიცე დავალება ამ მოკრეფის კამპანიისათვის.

11. დაევალოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—წარმოუდგინოს, ახალი ხრალეული კულტურების ტრესტის ამიერკავკასიის განყოფილებასთან ერთად, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ხრალეული კულტურების ტერიტორიის ორგანიზაციისა და გამოსაყენებლად მოგვარების 1932 წლის გეგმა.

12. დაევალოს ახალი ხრალეული კულტურების ტრესტის ამიერკავკასიის განყოფილებას—უზრუნველჰყოს სათანადო დაფინანსებით და თესლეულით ამა დადგენილებაში გათვალისწინებული ხრალეული კულტურების თესვის კამპანიის გეგმა 21.845 ჰექტარის ფართობზე.

13. რადგანაც ა/კსფსრ-ში ხრალეული კულტურების განვითარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კოსისართა საბჭოებს—მიიღონ თავიანთი მტკიცე მეთვალყურეობის ქვეშ მთელი 1931 წლის საწარმოო პროგრამის შესრულების მსვლელობა და ხრალეული კულტურების ფართობთა თავის დროზე გაშლა 1932 წელს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოად. **ა. დოგადოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1931 წ. აპრილის 23.

№ 357.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 115 №-ში 1931 წ. აპრილის 27-ს.

ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ Ა/ᲙᲡᲤᲡᲠ ᲡᲐᲰᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲘ.

108. სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან ჩაის ნათესების განთავისუფლების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

„ა/კსფსრ-ში ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარების შესახებ" გამოცემულ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 352 №-ის დადგენი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლების მე-3 მუხლს („ზარია ვოსტოკა“-ს 105 №-ი 1931 წ. აპრილის 17-სა) დაემატოს სიტყვები:

„ჩაის ნათესები განთავისუფლდება სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან“.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ა. დოგადოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1931 წ. აპრილის 29.
№ 364.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 123 №-ში 1931 წ. მაისის 7-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

109. „1931 წელს შავი და ფერადი ნატეხი ლითონის დამზადების თაობაზე“ გამოცემული შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილების განხორციელების შესახებ.

„1931 წელს შავი და ფერადი ნატეხი ლითონის დამზადების შესახებ“ გამოცემული შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1931 წ. აპრილის 12 თარიღისა და 102 №-ის დადგენილების თანახმად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან აეკრძალოს კერძო პირებს და ორგანიზაციებს ა/კსფსრ ტერიტორიაზე შავი და ფერადი ნატეხი ლითონის შესყიდვა და ვაჭრობა.

2. ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის საწარმოში ფერადი ლითონის წარმოების ნაშთის ნორმების განსაზღვრა, შავი და ფერადი ნატეხი ლითონის დაშტკიცებული ბალანსის შესაბამისად, დაეკისროს ნატეხი ლითონის მრეალიზებელ და აღმფუსხველ ამიერკავკასიის კომისიას და აღიარებულ იქნეს, რომ ამ კომისიის მიერ დადგენილი შავი და ფერადი ნატეხი ლითონის ჩაბარების ლიმიტები სავალდებულოა ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის, რომელმაც იგი უცილობლად უნდა აღასრულოს.

3. ა/კსფსრ სამომხმარებლო, სარეწაო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სისტემებმა და საჯაქეო საზოგადოებამ „ზაკუტილ“-მა მონაწილეობა უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღონ შავი და ფერადი ნატეხი ლითონის დამზადებაში. მათ მიერ დაკვეთილი ლიმიტების ფარგლებში.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ა. დოგადოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1931 წ. აპრილის 29.
№ 365.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 124 №-ში 1931 წ. მაისის 8-ს.

დადგენილება აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

110. სამეურნეო ბრუნვაში მონაწილე საწარმოთა, ორგანიზაციათა და პირთა სახელმწიფოებრივი რეგისტრაციის დებულებასთან დაკავშირებით ა/კსფსრ კანონმდებლობაში შესატანი ცვლილების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ის იურიდიული პირები, რომელთა წესდებებსაც ამტკიცებენ ა/კსფსრ ცენტრალური ორგანოები, დარეგისტრირებულ უნდა იქნენ ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატში.

განსაზოგადოებული სექტორის ყველა ის საწარმო და ორგანიზაცია, რომლის წესდებასაც ამტკიცებს რესპუბლიკანური ცენტრალური ორგანო, დარეგისტრებულ უნდა იქნეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატში. ყველა სხვა საწარმო, ორგანიზაცია და პირი, აგრეთვე მისი ფილიალი დარეგისტრებულ უნდა იქნეს ადგილობრივ საფინანსო ორგანოში.

შენიშვნა 1. რეგისტრაციის წესების შეუსრულებლობისათვის იმ პირს, ვინც მოვალეა წარუდგინოს მრეგისტრავ ორგანოს ცნობები, შეიძლება დაედვას ჯარიმა პირველად ასი მან. რაოდენობით, ხოლო ამ წესების განმეორებითი შეუსრულებლობისათვის—300 მანეთამდე.

ჯარიმას დაადებს საწარმოთა მრეგისტრავი სათანადო საფინანსო ორგანო.

შენიშვნა 2. ამა მუხლში აღნიშნული საფინანსო ორგანოების დადგენილებანი შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს, ორი კვირის ვადაზე დღიდან

შეტყობინების მიღებისა, ზემდგომ საფინანსო ორგანოში; ამასთანავე, ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის დადგენილება საბოლოოა და არ განსაჩივრება.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს წარმოუდგინოს ორი თვის ვადაზე ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დაინტერესებულ უწყებებთან შეთანხმებული პროექტი დადგენილებისა—იმ კოოპერატიული ორგანიზაციების და მათი კავშირების სავაჭრო რეგისტრაციის განსაკუთრებული წესების შესახებ, რომელთა წესდებებიც უნდა დაამტკიცონ ა/კსფსრ-ისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურმა ორგანოებმა.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებს—წარუდგინონ ხოლმე ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს ცნობები მათ მიერ დარეგისტრებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა შესახებ იმ ვადაზე და იმ მოცულობით, რასაც დაადგენს აღნიშნული სახალხო კომისარიატი; ხოლო ადგილობრივმა საფინანსო ორგანოებმა ცნობები მათ მიერ დარეგისტრებულ საწარმოთა, ორგანიზაციათა და პირთა შესახებ უნდა წარუდგინონ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

4. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. დეკემბრის 6-ის დადგენილება „სავაჭრო რეგისტრაციის განსაკუთრებული წესების შესახებ კოოპერატიულ ორგანიზაციათა და მათ კავშირისათვის და აგრეთვე იმ სააქციო საზოგადოებათათვის, რომელთა წესდებაც დამტკიცებულ უნდა იქნეს ა/კსფსრ-სა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური ორგანოების მიერ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. 21 №-ი, მუხ. 247) გაუქმებულ იქნეს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ა. დოგადოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1931 წ. აპრილის 29.
№366.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 125 №-ში 1931 წ. მაისის 9-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

111. მოსახლეობის ზოგიერთი კატეგორიისათვის გასაცემი მდგმოიარე და ნამზადი ტყის გადიდებული შეფასების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მოსახლეობის ქვემოაღნიშნული კატეგორიებისათვის მდგმოიარე ტყის გასაცემად დაწესებულ იქნეს შემდეგი დიფერენცირებულად გადიდებული სამერქანო ფასი მომქმედ ნიხრთან შედარებით:

	ნიხრის %-ლი ზედნართი
ა) სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ინდივიდუალური წესისამებრ დაბეგრილი სოფლის მოსახლეობისათვის და აგრეთვე უფლებაჩამორთმეულთათვის — არა ნაკლებ	100%-სა
ბ) იმ სოფლის მოსახლეობისათვის, რომელიც სასოფლო-სამეურნეო გადასახადს იხდის პროცენტული ზედნართითურთ დასაბეგრავ შემოსავალზე—არა ნაკლებ	30%-სა
გ) საშინამრეწველო არტელებისათვის, რომელნიც გაერთიანებულ არ არიან კოოპერატიულ კავშირებში, და იმ ინდივიდუალურ შინამრეწველთათვის, რომელნიც ტყეს სარეწაო საჭიროებისათვის იღებენ,—არა ნაკლებ	25%-სა
დ) სხვა მოქალაქეთათვის, რომელთაც ტყე მიეცემათ სამეურნეო საჭიროების დასაკმაყოფილებლად იმ ნორმის ზედმეტად, რაც დადგენილია ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის მომქმედი სატყეო კოდექსის შესაბამისად,—არა ნაკლებ	10%-ს.

შენიშვნა. ნიხრის საზედნართო პროცენტის საბოლოო რაოდენობას განსაზღვრავენ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები მოსახლეობის გადახდაუნარიანობის და ადგილობრივი პირობების მიხედვით.

2. როდესაც გაიცემა ნამზადი მერქანი—ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული ზედნართები დაერიცხება მერქანის საგასაცემო საპრეისკურანტო ფასებს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ა. დოგადოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1931 წ. აპრილის 29.

№ 367.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 135 №-ში 1931 წ. მაისის 19-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

112. სევანის ტბის წყალთა გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი და გადამწყვეტი ამერკავკასიის კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ქვემომდევნო დებულება სევანის ტბის წყალთა გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი და გადამწყვეტი ამერკავკასიის კომიტეტის შესახებ.

2. კომიტეტის შედგენილობაში შევლენ პერსონალურად ქვემოდ დასახელებული სპეციალისტები: ინჟენერები ფლაკსერმანი, ო. ნ. მელიქ-ფაშაევი, მ. ი. სტებნიცკი, ი. ს. პლავინსკი, კ. ა. მიხაილოვი, ფ. ო. ლევინსონ-ლესსინგი, ვ. გ. გლუშკოვი, ა. ა. სამოილოვი და გ. გ. ოპანეზოვი.

3. თავმჯდომარის მეორე მოადგილედ დაინიშნოს ინჟენერი ამხ. ასტვაცატუროვი.

4. კომიტეტი დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს სევანის ტბის წყალთა გამოყენების სამუშაოთა ორგანიზაციას.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ა. დოგადოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1931 წ. აპრილის 29.

№ 368.

ტფილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სევანის ტბის წყალთა გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი და გადამწყვეტი ამერკავკასიის კომიტეტის შესახებ.

1. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან, სომხეთის სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის თავმჯდომარეობით და ქ. ერივანში სამყოფელი ადგილით, მოეწყობა ამერკავკასიის კომიტეტი სევანის ტბის წყალთა გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლისა და გადაწყვეტისათვის.

2. ამერკავკასიის კომიტეტს დაეკისრება:

ა) მოაწყოს სამეცნიერო-საკვლევო და საძიებლო სამუშაოები სევანის ტბის წყალთა ყველა შესაძლებლობის გამორკვევისა და რაციონალურად გამოყენებისათვის;

ბ) შეისწავლოს ყოველმხრივ პრაქტიკული ამოცანები მიწების მორწყვისა, ენერგეტიკისა, სათევზე მეურნეობის განვითარებისა, ტრანსპორტისა და სხვა

ამგვარი საკითხების სფეროში, რაც დაკავშირებულია სევანის ტბის წყალთა რესსურსების გამოყენებასთან;

გ) შესწავლის შედეგების შესაბამისად შეადგინოს და აგრეთვე ეკონომიურად დაასაბუთოს საერთო სქემა და პროექტი სევანის ტბის წყალთა გამოყენებისა მიწების მორწყვის და ენერგეტიკის საჭიროებათათვის და მხედველობაში მიიღოს სახალხო მეურნეობის ყველა სხვა დარგის ინტერესები;

დ) გაანაწილოს ამა მუხლის „ა", „ბ" და „გ" პუნქტებით გათვალისწინებული სამუშაოები ა/კსფსრ-ისა, სომხეთის სსრ-ისა და აზერბაიჯანის სსრ-ის უწყებათა და დაწესებულებათა შორის—კუთვნილებისამებრ—მათი გამგებლობის საგნების შესაბამისად;

ე) შეიმუშაოს ღონისძიებანი ყველა იმ გეგმისა და პროექტის პრაქტიკული განხორციელებისათვის, რაც დაკავშირებულია სევანის ტბის წყალთა გამოყენებასთან;

ვ) გამოსცეს შესწავლის მასალები და ამ მასალების დამუშავების შედეგები.

3. კერძოდ, კომიტეტს უფლება აქვს:

ა) უშუალო უფლებიერი მმართველი იქონიოს სსრკ-ისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო დაწესებულებებთან, გარდა სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, სახალხო კომისართა საბჭოსი და შრომისა და თავდაცვის საბჭოსი;

ბ) დელეგირებულჰყოს თავისი წარმომადგენლები ყველა დაწესებულებაში სევანის ტბის წყალთა გამოყენებასთან დაკავშირებული ყოველი საკითხის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად;

გ) მოიწვიოს არსებული წესისამებრ თათბირები სევანის ტბის წყალთა გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამო;

დ) დადასტუროს, კომიტეტის დავალებებთან დაკავშირებით, სათანადო დაწესებულების მიერ შეტანილი საკითხები გეგმებისა, ხარჯთაღრიცხვებისა, პროგრამისა და კრედიტების შესახებ საძიებლო და საკვლევო სამუშაოთა სფეროში;

ე) მოიწვიოს საჭირო შემთხვევაში როგორც საბჭოთა, ისე, არსებული წესის დაცვით, უცხოეთის ექსპერტიზა დიდრონი საკითხებისათვის, რაც კომიტეტის გამგებლობის საგანს ეხება;

ვ) მოაწყოს სამეცნიერო-საკვლევო და საძიებლო ბიურო სევანის ტბის შესასწავლად.

4. ამიერკავკასიის კომიტეტის შედგენილობაში შედიან: თავმჯდომარე, მისი ორი მოადგილე და ოცდაათი წევრი.

კომიტეტის თავმჯდომარეა—სომხეთის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე; პირველი მოადგილეა—სომხეთის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; მეორე მოადგილეა—ის პირი, რომელსაც პერსონალურად დანიშნავს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო—სომხეთის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს წარდგენით.

კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებად არიან: ამიერკავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიისა, ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს,

„ზაკენერგო“-ს, ამიერკავკასიის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა და ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს წარმომადგენელნი და კომიტეტის სწავლული მდივანი.

კომიტეტის წევრებად არიან:

„ზაკგიდროელეკტროსტროი“-ს, ამიერკავკასიის მებამბეობის კომიტეტისა, ამიერკავკასიის სამდინარეო ფლოტის სამმართველოს, ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს, გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა, ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატისა, ამიერკავკასიის საგეოლოგო-სამიებლო სამმართველოს, მთავარი გეოფიზიკური ობსერვატორიისა, სომხეთის სსრ ჰიდრომეტეოროლოგიური კომიტეტისა, სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიისა, სომხეთის სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, სომხეთის სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს, სომხეთის სსრ პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს და სომხეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელნი და ცხრა სპეციალისტი, რომელთაც პერსონალურად დანიშნავს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო.

შენიშვნა. ამა მუხლით გათვალისწინებულ უწყებათა და დაწესებულებათა წარმომადგენელთ პერსონალურად დანიშნავენ სათანადო უწყებანი და დაწესებულებანი კომიტეტის მუდმივი წევრების სახით.

5. მთავარი ხელმძღვანელი ორგანო, რომელაც სწყვეტს ძირითად საკითხებს, არის კომიტეტის პლენუმი, ხოლო მიმდინარე ოპერატიულ მუშაობას უძღვება პრეზიდიუმი.

6. პლენუმს მოიწვევს კომიტეტის პრეზიდიუმი საჭიროებისდამიხედვით, ხოლო 3 თვეში ერთხელ მაინც.

7. პლენუმის გადაწყვეტილება მიიღება ხმის უმეტესობით; პლენუმის კრება შემდგარად ჩაითვლება, უკეთუ მას დაესწრო კომიტეტის წევრთა მთელი შედგენილობის ნახევარზე მეტი; უკეთუ საჭირო კვორუმი არ შესდგა, პრეზიდიუმი ათი დღის შემდეგ დანიშნავს მეორე კრებას, რომელიც შემდგარად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

8. პლენუმის მიერ განსახილველ საკითხებს შეიტანს პრეზიდიუმი თავისი დასკვნით და ყველა იმ მასალით, რაც საჭიროა საკითხის გადასაწყვეტად. კომიტეტის წევრს შეუძლიან თავისი ინიციატივით შეიტანოს კომიტეტის განსახილველად ესა თუ ის საკითხი, ხოლო იგი წინასწარი განხილვისათვის უნდა წარუდგინოს პრეზიდიუმს.

9. კომიტეტს ჰყავს სწავლული მდივანი და ტეხნიკური აპარატი.

10. კომიტეტს აქვს ბეჭედი თავისი სახელწოდების წარწერით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

113. შავი და ფერადი ნატეხი ლითონის აღმნუსხველი და მრეალიზებელი ამიერკავკასიის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს ქვემომდევნო დებულება შავი და ფერადი ნატეხი ლითონის აღმნუსხველი და მრეალიზებელი ამიერკავკასიის კომისიის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ა. დოგადოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1931 წ. აპრილის 29.

№ 369.

ტფილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

შავი და ფერადი ნატეხი ლითონის აღმნუსხველი და მრეალიზებელი ამიერკავკასიის კომისიის შესახებ.

1. შავი და ფერადი ნატეხი ლითონის აღმნუსხველი და მრეალიზებელი ამიერკავკასიის კომისია არსებობს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან შემდეგი შედგენილობით: თავმჯდომარე, რომელსაც დანიშნავს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, და წევრები: სამხედრო უწყებისა, ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციისა, ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატისა და ამიერკავკასიის რკინის გზების დირექციის წარმომადგენელნი.

2. შავი და ფერადი ნატეხი ლითონის აღმნუსხველ და მრეალიზებელ ამიერკავკასიის კომისიას დაეკისრება:

ა) აღნუსხოს სახელმწიფო დაწესებულებებისა, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების კუთვნილი შავი და ფერადი ნატეხი ლითონი და სატეხი ლითონის ქონება, და შეამოწმოს საამისო მარაგი;

ბ) გაანაწილოს ცენტრალური ორგან ოების მიერ გამოყოფილი ჩასაბარებელი ნატეხი ლითონის ლიმიტები ამიერკავკასიის უწყებებსა და ტრესტებსა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ყველა უწყებას შორის, და კონტროლი გაუწიოს ამ განაწილების რეალიზაციას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) გადასწყვეტოს ყველა საკითხი, რაც დაკავშირებულია სადავო ობიექტების ნატეხად გადაქცევასთან, საამისოდ არსებული ცენტრალური ორგანოების დირექტივების საფუძველზე.

დ) თვალყური ადევნოს იმ ღონისძიებათა განხორციელებას, რაც გამომდინარეობს ცენტრალური და ამიერკავკასიის მთავრობის ორგანოების დადგენილებებიდან—ნატეხი ლითონის დამზადებისა და სამეტალურგო მრეწველობისათვის მიწოდებისა, აგრეთვე ნატეხი ლითონის რეალიზაციის გაძლიერების საკითხების შესახებ;

ე) შეიმუშაოს პრაქტიკული ღონისძიებანი ტრესტი „მეტალლომ"-ის მიერ ნატეხი ლითონის დამზადებისა და ჩაბარების სფეროში დავალებათა განხორციელებისათვის;

ვ) გადასწყვეტოს ყველა სადავო საკითხი, რაც აღიძვრის ტრესტ „მეტალლომ"-სა და ნატეხი ლითონის მქონებელთა და ნატეხი ლითონის დამმზადებელ—„მეტალლომ"-ის კონტრაგენტებს შორის;

ზ) ჩაბაას ქალაქად და სოფლად მოსაროვებელი ნატეხი ლითონის დამზადების საქმეში ის საზოგადოებრივი, კოოპერატიული და სახელმწიფო ორგანიზაციები, რომელნიც საუტილიზაციო ნედლეულის მოგროვებას აწარმოებენ ინ პირობით, რომ დამზადებული ნატეხი ლითონი აუცილებლად ჩაბარონ ტრესტს „მეტალლომ"-ს დადგენილ სადამზადებლო ფასად;

თ) ხელმძღვანელობა და ინსტრუქტირება გაუწიოს საწარმოთა მიერ გამოყოფილ, ნატეხი ლითონის მოგროვებისა და შენახვისათვის პასუხისმგებელ პირთ.

3. შავი და ფერადი ნატეხი ლითონის აღმნუსხველ და მრეალიზებელ ამიერკავკასიის კომისიას შეუძლიან:

ა) მოსთხოვოს ამა დებულების მე-2 მუხლში აღნიშნულ, შავი და ფერადი ნატეხი ლითონის ყველა მქონებელს ცნობები მათ ხელთქონებული ნატეხი ლითონისა და ლითონის საგნების შესახებ;

ბ) გამოიკვლიოს და გამოაშკარაოს დავთრებისა და დოკუმენტების მიხედვით, აგრეთვე ნატურად ქონებული მათი ნატეხი ლითონი და გამოუსადეგი ლითონის საგნები;

გ) აღნუსხოს მთლად ხელთქონებული ნატეხი ლითონი და აგრეთვე ის ლითონის საგნები, რაც ნატეხ ლითონად უნდა იქნეს გადაქცეული, და გამოარკვიოს ამ საშუალებით მისაღები ნატეხი ლითონის მოსალოდნელი რაოდენობა;

დ) პასუხისგებაში მისცეს ის დამნაშავენი, რომელნიც დაარღვევენ სადირექტივო ორგანოების განკარგულებას ნატეხი ლითონის დამზადებისა და ჩაბარების შესახებ.

4. კომისიის დადგენილებანი მიიღება ხმის მარტივი უმეტესობით.

5. საჩივარი ამიერკავკასიის კომისიის მოქმედებაზე და დადგენილებაზე შეიძლება შეტანილ იქნეს ერთი დეკადის ვადაზე ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში. განსაჩივრება ვერ შეაჩერებს კომისიის გადაწყვეტილების განხორციელებას.

6. ამიერკავკასიის კომისიას განსაკუთრებული აპარატი არა ჰყავს და თავისი მუშაობისათვის გამოიყენებს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბ-

ჭოსი, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოების და ტრესტ „მეტალლომ“-ის აპარატს.

7. ამიერკავკასიის კომისიას აქვს თავისი სახელწოდების შტამპი და ბეჭედი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

114. 1931 წლის სატელეგრაფო და სატელეფონო ხარჯების შემცირების შესახებ.

გაზვიადებული სატელეგრაფო მიწერმოწერის შემცირებისა და ტელეგრაფის განტვირთვის მიზნით ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის და რესპუბლიკანურ ყველა სახალხო კომისარიატსა და დაწესებულებას, აგრეთვე იმ სამეურნეო და კოოპერატიულ ორგანიზაციას, რომელიც ა/კსფსრ ტერიტორიაზე იმყოფება ან ა/კსფსრ-ში აქვს თავისი ფილიალი თუ-განყოფილება:

1) გადასინჯოს ორი დღეადის ვადაზე ცენტრსა და პერიფერიაში სატელეგრაფო ანგარიშგება იმ მხრით, რომ გაანგრძელოს ანგარიშგების წარდგენის პერიოდები, შემაციროს მისი მოცულობა და შესცვალოს სატელეგრაფო ანგარიშგება საფოსტო ანგარიშგებად;

2) 1931 წლის ხარჯთაღრიცხვაში შეამციროს სატელეგრაფო და სატელეფონო ხარჯები არა ნაკლებ, ვიდრე 15%-ით 1930 წლის ფაქტიურ ხარჯებთან შედარებით;

შენიშვნა. სახელმწიფო ბიუჯეტიან დაწესებულებათა სატელეგრაფო ხარჯების შემცირებას მოახდენს საკრედიტო წესით ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი;

3) მოსპოს სავსებით მრავალსიტყვიანი დეპეშების გზავნა და ამის ნაცვლად იგი იგზავნებოდეს სასწრაფო და საჰაერო ფოსტით; ხოლო ყველა სასწრაფო დეპეშა და დეპეშა „ელვა“ („მოლნია“) უნდა იგზავნებოდეს მარტოოდენ დაწესებულების ხელმძღვანელის ან მისი მოადგილის ხელმოწერით;

4) სატელეგრაფო მიწერმოწერა, როდესაც საფოსტო კორესპონდენცია გამგზავნელისაგან მიიღება ორი დღის რადიუსში, შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებით იშვიათ შემთხვევაში;

5) მაქსიმალურად შეამციროს სატელეგრაფო ურთიერთი მიმართვა განყოფილებებთან, საააგენტოებთან და ფილიალებთან ადგილებზე და შესცვალოს იგი საფოსტო მიმართვად, ხოლო სატელეგრაფო მიწერმოწერა იხმაროს როგორც გამონაკლისი;

6) გამოჰყოს პასუხისმგებელი პირნი ამა დადგენილების აღსრულებისათვის თვალყურის სადევნელად და გასაგზავნი დეპეშებისათვის კონტროლის გასაწევად; დააკისროს მათ კონტროლი და საკრედიტო დისციპლინის დაცვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სატელეგრაფო და სატელეფონო ხარჯების გაწევის საქმეში; გამოყოფილ თანამშრომელთა პერსონალური სია გაუგზავნოს ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს.

II. სატელეგრაფო მიმოქცევის გასაუმჯობესებლად და ტელეგრაფის უფრო თანაბრად დასატვირთავად წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის კავშირგაბმულობის სამმართველოს.

ა) გასცეს სატელეგრაფო დაწესებულებათა ხელმძღვანელთ მიმართ ადგილებზე განკარგულება—დაუყოვნებლივ მოიწვიონ დეპეშების ძირითად გამგზავნელ დაწესებულებათა პასუხისმგებელი წარმომადგენლების სპეციალური თათბირები; ამ თათბირებზე უნდა განისაზღვროს თანაბარი ვადები სატელეგრაფო კორესპონდენციის მიწოდებისათვის და მიღებულ იქნეს პრაქტიკული ღონისძიებანი სატელეგრაფო სფეროში ნამეტანობის აღმოსაფხვრელად;

ბ) ერთი დეკადის ვადაზე გადასინჯოს და შეამციროს საქალაქთშორისო ტელეფონის სასამსახურო აბონენტების სია; ამასთანავე, აბონენტობა მიმაგრებულ უნდა იქნეს განსაზღვრულ პირებზე და არა დაწესებულებებზე.

III. სატელეგრაფო მიწერმოწერის გაუმჯობესებისა და ამა დადგენილების აღსრულების შემოწმების მუშაობაში 1-ლ მუხლით გათვალისწინებულ დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან ჩაბმულ უნდა იქნენ იდგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

IV. მიენდოს ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციას და ა/კსფსრ შედგენილობაში შეპვალი რესპუბლიკების მუშათა და გლეხთა ინსპექციებს შეამოწმონ, ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით, ამა დადგენილების აღსრულება.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ა. დოგადოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1931 წ. აპრილის 29.

№ 371.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 138 №-ში 1931 წ. მაისის 22-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

115. „ოთხფეხი საქონლის დამზადების თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. დეკემბრის 20-სა და 1931 წ. იანვრის 2-ის დადგენილების აღსრულების მსვლელობის შესახებ.

მოისმინა-რა „სოიუზმიასო“-ს წარმომადგენლის ამხ. ამატუნისა, ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლის ამხ. იავნენტინსკისა, ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენლის ამხ. ბირიუშევისა და ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატის წარმომადგენლის ამხ. კობახიძის მოხსენება საქონლის დამზადების საქმის მსვლელობის შესახებ, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. აღინიშნოს, რომ თუმცა საქონლის დამზადების გეგმა 1931 წ. აპრილის 1-თვის შესრულებულია 67,6% რაოდენობით (ცოცხლადი წონა), როდესაც დავალება 70%-იყო, მაგრამ ფაქტიურად ხორცის რესსურსები, დაკლული პორუტყვის ხორცის მცირე გამოსავლიანობისა და სხვა დანაკლისთა გამო, არ აკმაყოფილებს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დავალებებს ხორცით მომარაგების სფეროში.

მაშინ, როდესაც კოლექტიურ მეურნეობების ნახირთა დაკომპლექტების გეგმა თვალსაჩინო გადამეტებით არის შესრულებული, სამაგიეროდ საბჭოთა მეურნეობების ნახირთა დაკომპლექტების გეგმა შესრულებულ არ იქნა.

2. განსაკუთრებით აღინიშნოს სრულიად არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა საქონლის დამზადებისა და გასავლის აღნუსხვისა „სოიუზმიასო“-ს ამიერკავკასიის კონტორაში, სასოფლო-სამეურნეო და სამომხმარებლო კოოპერაციაში, ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში, ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრში და საბჭოთა მეურნეობებში.

3. აღინიშნოს, რომ საბჭოთა მეურნეობების და კოლექტიური მეურნეობების მომარაგება პროდუქტიული საქონლით სწარმოებდა ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა, ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრისა და „სოიუზმიასო“-ს ამიერკავკასიის კონტორის ყოველგვარი ხელმძღვანელობის გარეშე.

აღინიშნოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სამეცხოველეო სექტორის გამგის ამხ. ფირუმოვისა და ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრის სამეცხოველეო სექტორის გამგის ამხ. იაროსლავსკის საყურადღებოდ, რომ მათ არ შეასრულეს დირექტივები განსაზოგადოებული სექტორის ნახირთა გეგმიანი დაკომპლექტების შესახებ.

4. აღინიშნოს, რომ „სოიუზმიასო"-ს ამიერკავკასიის კონტორის აპარატმა ჯერ კიდევ ვერ გამოიჩინა უნარი—დაეძლია მისთვის დაკისრებული დავალებანი როგორც განმზადებული საქონლის მოვლა-პატრონობისა, ისე კოლექტიური მეურნეობების ნახირთა დაკომპლექტების საქმეში.

5. საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა საბჭოთა მეურნეობების ნახირთა დაკომპლექტება მოხდეს სსრკ-ის მომარაგების სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილი გეგმის თანახმად და წინადადება მიეცეს ამხ. ვეზჩიროვსა და ამხ. ამატუნს შეადგინონ ერთი დეკადის ვადაზე ნახირთა დაკომპლექტების გეგმა საბჭოთა მეურნეობების სახელობითი ჩამოთვლით.

6. რადგანაც შენიშნულია, რომ კოლექტიური მეურნეობებისათვის საქონლის გადაცემის დროს იყო შემთხვევები მათთვის არა პროდუქტიული საქონლის გადაცემისა, წინადადება მიეცეს ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრის გამგეს ამხ. ავისს—გადასინჯოს, „სოიუზმიასო"-ს ამიერკავკასიის კონტორის გამგე ამხ. ამატუნთან ერთად, კოლექტიური მეურნეობებისათვის გადაცემული საქონლის შედგენილობა წუნდადებული საქონლის გამოყოფისა და კოლექტიურ მეურნეობებში მხოლოდ ვარგისი პროდუქტიული საქონლის დატოვების მიზნით.

მიენდოს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს, ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრს და „სოიუზმიასო"-ს ამიერკავკასიის კონტორას—შეიმუშაონ სამი დღის ვადაზე კოლექტიურ მეურნეობებში გადაცემული საქონლისათვის ანგარიშგასწორების წესი და წარუდგინონ იგი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად.

7. წინადადება მიეცეს „სოიუზმიასო"-ს ამიერკავკასიის კონტორას, საბჭოთა მეურნეობებიდან გეგმების მიღებისათანავე, მიამაგროს ეს მეურნეობანი „სოიუზმიასო"-ს ჩამბარებელ პუნქტებს და ჩაბარება დაიწესოს „სოიუზმიასო"-ს ამიერკავკასიის კონტორის ბაზისებიდან.

8. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს და „სოიუზმიასო"-ს ამიერკავკასიის კონტორას—დაჩქარონ ინვენტარიზაციის ჩატარება ხელთქონებული რესურსების აღნუსხვისა და საქონლის შეგუების მიზნით.

9. აღინიშნოს, რომ ადგილებზე სრულიად არა სწარმოებს ბრძოლა საქონლის განადგურების წინააღმდეგ, მიუხედავად მთავრობის საამისო დირექტივებისა და დადგენილებებისა, და წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და სასამართლო და საგამომძიებელო ორგანოებს—გააძლიერონ ბრძოლა საქონლის დაუზოგველი განადგურების წინააღმდეგ და განავითარონ ამ საქმის გარშემო ფართო საზოგადოებრივი კამპანია.

10. დაევალოს სასოფლო-სამეურნეო და სამომხმარებლო კოოპერაციას (საქონლის დამზადების რაიონებში), საქონლის დამზადების შესახებ კულაკურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეობებისათვის მიცემულ მტკიცე დავალებათა გარდა, გააძლიეროს აგრეთვე დამზადების მეორე ნაწილი კონტრაქტაციის მეთოდით.

აღსრულების შემომწმებელი კომისიის
თავმჯდომარის მოადგილე ა. დოგადოვი.

აღსრულების შემმოწმებელი
კომისიის მდივანი თ. მელნიკოვი

1931 წ. აპრილის 21.

№ 6.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 117 №-ში 1931 წ. აპრილის 29-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

116. ხე-ტყის წყლით ჩამოტივტივების შესახებ.

მოისმინა-რა ამიერკავკასიის ტყე-ქაღალდის ტრესტის წარმომადგენლის ამხ. პოჩტარიოვის მოხსენება ხე-ტყის წყლით ჩამოტივტივების შესახებ, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. აღინიშნოს, რომ ტყის დამმზადებელ ორგანიზაციებს არ ჩაუტარებიათ საჭირო სასამზადისო მუშაობა წყლით ხე-ტყის ჩამოტივტივების ოპერაციების ორგანიზაციისათვის.

2. ცნობად იქნეს მიღებული ამხ. მუხთაროვის („სოიუზლეგ") განცხადება იმის თაობაზე, რომ ამიერკავკასიის ტყე-ქაღალდის ტრესტის განცხადება ხე-ტყის ჩამოტივტივების ოპერაციებისათვის საჭირო პურისა ღა ფურაჟის შესახებ „სოიუზლეგ"-მა სავსებით შეასრულა, და ამხ. ერისთავის (ა/კ. სამომხმ. კოოპერ. კავშირი) განცხადება, რომ ამიერკავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირის მიერ ხე-ტყის ჩამომტივტივებელთათვის გაცემულია 175.000 მანეთის სამრეწველო საქონელი.

3. დაეკისროს ა/კ. ტყე-ქაღალდის ტრესტის მომარაგების განყოფილების გამგეს ამხ. კაკაბაძეს პასუხისმგებლობა ხე-ტყის ჩამოტივტივების ოპერაციების საქონლით ნორმალური მომარაგებისათვის, ამ საქონლის თავის დროზე ჩამოტივტივების ადგილას მიზიდვისა და პირდაპირი დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის.

4. წინადადება მიეცეს ამხ. ერისთავს (ა/კ. სამომხმ. კოოპ. კავშ.) იხმაროს ღონისძიება ხე-ტყის ჩამოტივტივებაზე მოსაქმე მუშების სურსათით უზრუნველყოფისათვის, პირველ რიგში ჩაით და შაქრით.

5. წინადადება მიეცეს ბაღდადისა, ვანისა, ქუთაისისა, ამბროლაურისა, ონისა, ფოთისა, ხოფისა, ზუგდიდისა, წალენჯიხისა. ჩხოროწყუისა, გელისა, ოზურგეთისა, ლანჩხუთისა, ადიგენისა, ახალციხისა, ბორჯომისა, სტალინისისა, ქობულეთისა, ბათუმისა, გაგრისა, გუდაუთისა, წებელდისა და სოხუმის სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—იხმარონ ყოველი ღონისძიება, რათა ხე-ტყის ჩამოტივტივების გეგმა სავსებით იქნეს განხორციელებული.

6. წინადადება მიეცეს ამხ. ლაქტიონოვს (სახ. ბანკი) და ამხ. პოჩტარიოვს (ა/კ. ტყე-ქაღალდის ტრესტი) შეიტანონ ორი დღის ვადაზე აღსრულების შემმოწმებელ კომისიაში კონკრეტული წინადადებანი ხე-ტყის ჩამოტივტივების საქმეში არსებული დავალიანების ლიკვიდაციის შესახებ.

7. წინადადება მიეცეს აკსფარ შრომის სახალხო კომისარიატს—ამხ. ფარჯანაძის პირადი პასუხისმგებლობით—აღასრულოს ა/კსფარ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება ხე-ტყის ჩამოტივტივების საქმის მუშა-ძალით მომარაგების შესახებ გეგმაში გათვალისწინებული რაოდენობით.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
თავმჯდომარის მოადგილე **ა. დოგაღოვი.**

აღსრულების შემმოწმებელი
კომისიის მდივანი **თ. მელნიკოვი.**

1931 წ. აპრილის 21.

№ 7.

ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისიისა.

117. ა/კსფსრ-ში აბრეშუმის ჭიის თესლისა და პარკის კამპანიისა და თუთის ხის გაშენების საწარმოო გეგმის აღსრულების მსვლელობის შესახებ.

მოისმინა-რა ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილის ამხ. ბირიუშევის მოხსენება და „სოიუზშოლკ"-ის წარმომადგენლის ამხ. სარქისოვისა, სსრკ-ის მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენლის ამხ. კუშნერისა და ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმ. ამხ. პოტერიახინის თანამოხსენებანი—ა/კსფსრ-ში აბრეშუმის ჭიის თესლისა და პარკის კამპანიისა და თუთის ხის გაშენების საწარმოო გეგმის აღსრულების მსვლელობის შესახებ,—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული აღსრულების შემმოწმებელი კომისია აღნიშნავს, რომ ა/კსფსრ-ში აბრეშუმის თესლის და პარკის კამპანია მიმდინარეობს სრულიად არა დამაკმაყოფილებლად. სრულიად არ არსებობს მასსური

პოლიტიკური მუშაობა მეაბრეშუმეთა შორის და ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანური მომარაგების სახალხო კომისარიატები და საკოლმეურნეო-კოოპერატიული ცენტრები სათანადოდ არ აფასებენ მეაბრეშუმეობის მნიშვნელობას და ყოველივე ეს საფრთხეში აგდებს მეაბრეშუმეობის გეგმის შესრულების საქმეს.

ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანური კოოპერატიული ცენტრების მოუქნელობის მიზეზით და იმის გამო, რომ ისინი ბიუროკრატიულად მოეკიდნენ „საანეულო ნათესების კონტრაქტაციის შესახებ“ გამოცემულ სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების აღსრულებას,—აბრეშუმის ჭიის თესლისა და პარკის კამპანია აღმოჩნდა სრულიად მოუმზადებელი; აბრეშუმის ჭიის თესლის რეალიზაციისა და პარკის კონტრაქტაციის გეგმები, განსაკუთრებით თუთის ხის ხრალისა, მიწვდენილი არ არის სოფლამდე და კოლმეურნეობამდე. ხოლო თვით პარკის კონტრაქტაცია, რაც დიდის დაგვიანებით იქნა დაწყებული—მხოლოდ მარტის 25-ს, საფრთხეშია და შეიძლება ჩაიშალოს. აპრილის 10-თვის პარკის კონტრაქტაცია შესრულებულია 51,4%-ით, მაშინ, როდესაც, სსრკ-ის მომარაგების სახალხო კომისარიატის დადგენილების თანახმად, პარკის კონტრაქტაცია დამთავრებული უნდა ყოფილიყო სრულად მარტის 1-ლს.

აღსრულების შემმოწმებელი კომისია აღნიშნავს, რომ პარტიისა და მთავრობის დირექტივა—კულაკურ და შეძლებულ საბრეშუმო მეურნეობებისათვის მტკიცე დავალებათა ბრძანების ჩაბარების შესახებ—შეუსრულებელი დასტოვეს „ზაკასდოოგოროლსიოუზ“-ისა და „ზაკხლებეივსიოუზ“-ის დამაკონტრაქტებელმა ორგანიზაციებმა.

აღსრულების შემმოწმებელი კომისია ადგენს:

1. დაეკალოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალო კომისარიატსა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს:

ა) ერთი დეკადის ვადაზე შეიმუშაონ და წარუდგინონ დასამტკიცებლად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს პროექტი დადგენილებისა—თუთის ნარგავთა განადგურების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ;

ბ) ერთი თვის ვადაზე შეიმუშაონ, ა/კ. მეაბრეშუმეობის ინსტიტუტის მასალების საფუძველზე, დიდი სასაბჭოო-საკოლმეურნეო მეურნეობის ფორმა მეურნეობის სხვა დამხმარე დარგების კომბინირებით (მეცხოველეობისა—შემოდგომის ფოთლების დასილოსებასთან დაკავშირებით, თუთის ბოჭკოს წარმოება თუთის ხის ხრალიდან, ქაღალდის წარმოება ხის ტოტებიდან, აბრეშუმის ჭიის თესლის წარმოება, სანერგეები, კიდრების მომზადება და სხვ.);

გ) ფართოდ გაშალონ მეაბრეშუმეობის რაიონებში ახსნა-განმარტებითი მუშაობა ღარის და საშუალო საბრეშუმო მეურნეობათა კოლექტიურ მეურნეობებში ჩაბმისათვის;

დ) ერთი თვის ვადაზე მოაწყონ, ამიერკავკასიის მეაბრეშუმეობის ინსტიტუტის მონაწილეობით, მუშაობა აგრონომებისა და მეაბრეშუმეობის დარგში მომუშავე პირების არადასასწრები გარდაკვალიფიცირებისათვის ადგილობრივ;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ე) სამი დეკადის ვადაზე შეიმუშაონ, ამიერკავკასიის მეაბრეშუმეობის ინსტიტუტის მონაწილეობით, 1931 წელს ზაფხულში და შემოდგომაზე აბრეშუმის ჭიის გამოკვების მოწყობის გეგმები; აგრეთვე გაშალონ სამომზადებლო მუშაობა აბრეშუმის ჭიის თესლის რეალიზაციისა და პარკის დამატებითი კონტრაქტაციის ჩატარებისათვის;

ვ) ერთი დეკადის ვადაზე გადასინჯონ—გადიდების მხრით—თესლის დამზადებისა და თუთის ხის ახალი სანერგეების მოწყობის თაობაზე არსებული დავალება მეაბრეშუმეობის 1932-33 წლების გეგმის უზრუნველსაყოფად;

ზ) დაამთავრონ არა უგვიანეს ა/წ. მაისის 1-სა მიწის ნაკვეთების მიჩენა და განმზადება თუთის ნარგაევა მოლიანი ფართობის გადიდებისა და სანერგეების მოწყობისათვის.

2. დაეკალოს ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანურ ბაღ-ბოსტანცენტრებს, პურ-მეცხოველეობის კოოპერაციას, საკოლმეურნეო ცენტრებს და აგრეთვე რესპუბლიკანურ მეაბრეშუმეობის ტრესტებს:

ა) დაამთავრონ არა უგვიანეს ა/წ. აპრილის 29-სა ადგილებისათვის მეაბრეშუმეობის 1931 წ. გეგმის შესასრულებლად საჭირო აგრიკულტურულ ღონისძიებათა გეგმების დაგზავნა, ამ გეგმების კოლექტიურ მეურნეობებამდე და სააბრეშუმო მეურნეობებამდე მიწვდენით;

ბ) კოლექტიური მეურნეობებისა და სააბრეშუმო მეურნეობებისათვის აბრეშუმის ჭიის თესლის დარიგებასთან ერთად გაშალონ ფართო მასსური კამპანია კოლექტიურ მეურნეობათა, სააბრეშუმო მეურნეობათა და რაიონთა შორის სოციალისტური შეჯიბრების შემოსაღებად—საკონტრაქტაციო ხელშეკრულობებით ნაკისრები პარკის ჩაბარების ვალდებულებათა შესრულებისა და გიდამეტებით შესრულებისათვის; ამავდროულად გაშალონ მუშაობა—კოლექტიურ მეურნეობებში და დასახლებულოთათა ამხანაგობებში მეაბრეშუმეობის თაობაზე საწარმოო თათბირების მოსაწყობად და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ქალთა საწარმოო თათბირების მოწყობას;

გ) ორი დეკადის ვადაზე მოაწყონ კოლექტიური მეურნეობებისა და რაიონების შემხვედრი გეგმების კამპანია—თუთის თესლის დასამზადებლად, თუთის ხის პლანტაციების ჩასაყრელად, აბრეშუმის ჭიის თესლის სარეალიზაციოდ და პარკის ჩასაბარებლად და ანგარიშში მიიღონ, რომ საჭიროა 1931 წ. ზაფხულში და შემოდგომაზე აბრეშუმის ჭიის გამოკვების ორგანიზაცია;

დ) ორი დეკადის ვადაზე მოაწყონ მეაბრეშუმეობის რაიონებში შემოწმება, რამდენად მზად არის დამმზადებელი აპარატი პარკისა და აგრეთვე თუთის ხის ხრალის შენახვისა და ტრანსპორტირებისათვის.

3. დაეკალოს ა/კსფსრ-ისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მომარაგების სახალხო კომისარიატებს:

ა) ერთი თვის ვადაზე შეიმუშაონ ღონისძიებანი ზაფხულში და შემოდგომაზე გამოკვებული ჭიის პარკის კონტრაქტაციისათვის და გადასინჯონ 1931 წელს ამიერკავკასიაში და რესპუბლიკებში პარკის დამზადების გეგმა—მისი გადიდების მიზნით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) დაამთავრონ აბრეშუმის ჭიის თესლის რეალიზაცია და პარკის კონტრაქტაცია არა უგვიანეს მაისიის 1-სა.

4. დაევალოს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს—სამი დღის ვადაზე გადასცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს მეაბრეშუშუმეობის სანედლეულო ბაზისის განვითარების საკონტროლო ციფრები 1.610.000 მან. რაოდენობით რესპუბლიკანურ ტრესტებს შორის განასსიგნებისათვის.

5. პასუხისმგებლობა ამა დადგენილების შესრულებისათვის ჩამოთვლილ სახალხო კომისარიატებსა და კოოპერატიულ ცენტრებში დაეკისროს პერსონალურად სახალხო კომისრებსა და კოოპერატიული ცენტრების თავმჯდომარეებს.

6 მიენდოს ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციას ჩაატაროს, არა უგვიანეს მაისის 20-სა, ამა დადგენილების აღსრულების შემოწმება და აგრეთვე გამოარკვიოს კონკრეტული დამნაშავენი პარკის კონტრაქტაციის ჩაშლისა და ფასების გადიდებისა.

აღსრულების შემმოწმებელი კომისიის
თავმჯდომარის მოადგილე **ა. დოგადოვი.**

აღსრულების შემმოწმებელი
კომისიის მდივანი **თ. მელნიკოვი.**

1931 წ. აპრილის 21.

№ 8.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 114 №-ში 1931 წ. აპრილის 26-ს.

მთავლ. № 1525. საქართველოს საბჭომსაბჭოს სტამბა. ტირაჟი 1.400